



საქართველოს უნივერსიტეტი



სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების პრობლემა

ავტორი: თამარ დემეტრაძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ჩხეიძე

თბილისი

2016

მიმოხილვა

სამყაროს სისტემური და ოპერაციული ხასიათი სინქრონიულ დონეზე იძლევა ინვარიანტულ და ვარიანტულ მიმართებათა მსგავსება-განსხვავებულობის იდენტიფიცირების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას, ხოლო დიაქრონულ დონეზე კი იგი უზრუნველყოფს სისტემის ელემენტთა თავისებურებასა და მათი ისტორიული განვითარების პოტენციას შორის არსებული მიმართების განსაზღვრას.

თითოეულ ენას კონცეპტუალიზაციის საკუთარი სტილი აქვს. შესაბამისად, თითოეული ენა ქმნის სამყაროს საკუთარ ხატს და ენის მატარებელი სწორედ ამ ხატის შესაბამისად ახდენს გამონათქვამის შინაარსის ორგანიზებას. ენა წარმოადგენს სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ფორმირებისა და არსებობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ასახავს რა რეალობას, ადამიანი სწორედ სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივი ფორმით დაფიქსირებული ცოდნის ჯამი წარმოადგენს იმ ფენომენს, რასაც ეწოდება „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“, „სამყაროს ენობრივი მოდელი“, „სამყაროს ენობრივი ხატი“.

სამყაროს ხატის შექმნის მომენტიდან იწყება ადამიანის, როგორც ისტორიული პროცესის სუბიექტის, მოღვაწეობა. სამყაროს ხატის ჩამოყალიბების პრობლემა უშუალო კავშირიშია მსოფლმხედველობასთან, რამდენადაც, თუ სამყარო გარდაიქმნება სურათად (ხატად), ადამიანის პოზოცია განიხილება როგორც მსოფლმხედველობა.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ „სამყაროს ხატის“ ცნება აქტიურად გამოიყენება ისეთი მეცნიერებების წარმომადგენელთა მიერ, როგორცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, კულტუროლოგია, გნოსეოლოგია, კოგნიტოლოგია, ლინგვისტიკა, აღნიშნული ცნება დღემდე, უწინდებურად, რჩება მეტაფორად, რომელიც ხშირად მოკლებულია ზუსტ და ერთმნიშვნელოვან განმარტებას ერთი კონკრეტული მეცნიერების ფარგლებშიც კი.

ბუნებრივია, ჩვენი კომპეტენცია და, შესაბამისად, ინტერესიც ვრცელდება მხოლოდ ლინგვისტიკაზე. აღნიშნულ სააზროვნო სივრცეში კი, ჩვენი აზრით, სამყაროს ხატთან დაკავშირებული პრობლემის არსებობის ძირითად მიზეზს წამოადაგენს სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების ტექნიკის არასათანადო დეტალიზაცია.

რა ტიპის ერთეულის კონსტრუირება უზრუნველყოფს სამყაროს ენისმიერი ხატის ადეკვატურ მოდელირებას? რა პრინციპები უნდა იყოს ფუძემდებლური კონცეპტუალური სივრცის მოდელირებისას?

მთელი უნდა შედგებოდეს არა ცალკეული, დამოუკიდებელი ნაწილისაგან, არამედ პირიქით, ცალკეული ნაწილის მნიშვნელოვნება უნდა გამომდინარეობდეს მთელის აგებულების კანონზომიერებიდან.

კონცეპტუალურ სივრცე უნდა მართოს მთელისაგან ორგანული გამოყოფადობის კანონმა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ერთმანეთს ორგანული მთელის წევრები თავიანთი ადგილის გათვალისწინებით.

ერთეულმა უნდა ასახოს ხატთა სისტემა და ხატთა შორის არსებული კავშირი, კერძოდ: წარმოდგენა სამყაროსა და ადამიანზე, მათ შორის არსებულ კავშირზე (ადამიანის კავშირი ბუნებასთან, საზოგადოებასთან და ადამიანებთან) და ადამიანის კავშირი საკუთარ თავთან.

ერთეული უნდა წარმოადგენდეს შემეცნებითი მოღვაწეობის საფუძველზე ფორმირებულ კონსტრუქტს, რომელშიც კოდირებულია სამყაროს „სახის“ მრავალრიცხოვანი დესკრიფცია.

სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირება გულისხმობს ცნობიერების ენის მასალაზე კვლევას. აღნიშნული ტიპის კვლევა კი ცხადყოფს, რომ სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ პარადიგმათა სინთეზირებისა და სააზროვნო სივრცეთა ინტეგრაციის გზით. კონცეპტთა რაოდენობა ქმნის კონცეპტუალურ სფეროს, რომელიც წარმოადგენს კონცეპტების მოწესრიგებულ ერთობლიობას. ეს ერთობლიობა კი გვესმის როგორც კონკრეტული ერის ყველა კონცეპტთა პოტენციების ჯამი.

სარჩევი

შესავალი-----	5
თავი 1 - ენა და სამყაროს ხატი-----	10
1.1.სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური ხატების დიფერენცირების პრობლემა-----	10
1.2. სამყაროს ხატის მარკერები-----	13
თავი 2 - კოგნიტივიზმის არსი-----	19
2.1.კოგნიტური ლინგვისტიკა-ლინგვისტური რეალობის ახალი ხედვა-----	19
2.2.კოგნიტური ლინგვისტიკა-წტაროები,ფორმირების ეტაპები და ამოცანები-----	23
2.3.კონცეპტის არსი-----	27
თავი 3 - მიდგომათა სინთეზირებისა და მნიშვნელობათა დიფერენცირების პრობლემა- 32	
3.1. ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მიდგომები, ენობრივი და კონცეპტუალური მნიშვნელობები-----	32
3.2. ველის სეგმენტაციის პრინციპები და ველთა კვეთის პრობლემა-----	39
3.3. მიმართებათა ტიპები-----	44
3.4. „დროის“ კონცეპტუალური სივრცე თანამედროვე ინგლისურ ენაში-----	49
დასკვნა-----	98
გამოყენებული ლიტერატურა-----	100

შესავალი

ადამიანს სამყაროში ორიენტაციისათვის ესაჭიროება განსაკუთრებული სიმბოლური გამაშუალებელი სტრუქტურები - ენა, მითოლოგია, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება. სწორედ აღნიშნული სტრუქტურები ასრულებს ადამიანის მოღვაწეობის რეგულატორთა ფუნქციას. სწორედ აღნიშნულ სტრუქტურათა ერთობლიობაა სამყაროს ფუძემდებლური, გლობალური ხატი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ადამიანის, როგორც სამყაროს ხატის მატარებლის, ცნობიერებაში სამყაროს არსებით თვისებათა რეპრეზენტაცია.

უზოგადესი სახით, სამყაროს მოდელი განისაზღვრება როგორც სამყაროს შესახებ კონკრეტული ტრადიციის ფარგლებში არსებულ წარმოდგენათა ჯამის შეკუმშული და გამარტივებული ანარეკლი. სამყაროს მოდელი არ განეკუთვნება ემპირიული დონის ცნებათა რიცხვს - კონკრეტული ტრადიციის წარმომადგენლებს, შესაძლოა, არ ჰქონდეთ სრულად გაცნობიერებული სამყაროს მოდელი.

სამყაროს სისტემური და ოპერაციული ხასიათი სინქრონიულ დონეზე იძლევა ინვარიანტულ და ვარიანტულ მიმართებათა მსგავსება-განსხვავებულობის იდენტიფიცირების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას, ხოლო დიაქრონიულ დონეზე კი იგი უზრუნველყოფს სისტემის ელემენტთა თავისებურებასა და მათი ისტორიული განვითარების პოტენციას შორის არსებული მიმართების განსაზღვრას.

თითოეულ ენას კონცეპტუალიზაციის საკუთარი სტილი აქვს. შესაბამისად, თითოეული ენა ქმნის სამყაროს საკუთარ ხატს და ენის მატარებელი სწორედ ამ ხატის შესაბამისად ახდენს გამონათქვამის შინაარსის ორგანიზებას. ენა წარმოადგენს სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ფორმირებისა და არსებობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ასახავს რა რეალობას, ადამიანი სწორედ სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივი ფორმით დაფიქსირებული ცოდნის ჯამი წარმოადგენს იმ ფენომენს, რასაც ეწოდება „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“, „სამყაროს ენობრივი მოდელი“, „სამყაროს ენისმიერი ხატი“.

სამყაროს ხატის შექმნის მომენტიდან იწყება ადამიანის, როგორც ისტორიული პროცესის სუბიექტის, მოღვაწეობა. სამყაროს ხატის ჩამოყალიბების პრობლემა უშუალო კავშირიშია მსოფლმხედველობასთან, რამდენადაც, თუ სამყარო გარდაიქმნება სურათად (ხატად), ადამიანის პოზოცია განიხილება როგორც მსოფლმხედველობა.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ „სამყაროს ხატის“ ცნება აქტიურად გამოიყენება ისეთი მეცნიერებების წარმომადგენელთა მიერ, როგორცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, კულტუროლოგია, გნოსეოლოგია, კოგნიტოლოგია, ლინგვისტიკა, აღნიშნული ცნება

დღემდე, უწინდებურად, რჩება მეტაფორად, რომელიც ხშირად მოკლებულია ზუსტ და ერთმნიშვნელოვან განმარტებას ერთი კონკრეტული მეცნიერების ფარგლებშიც კი.

ბუნებრივია, ჩვენი კომპეტენცია და, შესაბამისად, ინტერესიც ვრცელდება მხოლოდ ლინგვისტიკაზე. აღნიშნულ სააზროვნო სივრცეში კი, ჩვენი აზრით, სამყაროს ხატთან დაკავშირებული პრობლემის არსებობის ძირითად მიზეზს წამოადაგენს სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების ტექნიკის არასათანადო დეტალიზაცია.

აშკარაა ის ფაქტიც, რომ სამყაროს ხატში ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირებით ჯერაც არ გამქრალა სამყაროს ხატის ამორფულობის განცდა.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ სხვა მეცნიერთა კვალდაკვალ, ჩვენც ვაღიარებთ სამყაროს ხატის შემდეგ მარკერთა ვალიდურობას:

- I. სამყაროს ხატი სრულად განაპირობებს მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებას;
- II. წარმოადგენს იმ აღქმის საფუძველს, რომელსაც ადამიანი ეყრდნობა სამყაროში ორიენტირებისას;
- III. არის ისტორიულად განპირობებული, რაც, თავისმხრივ, გულისხმობს სამყაროს ხატისა და მის სუბიექტთა მუდმივ ცვლილებას;
- IV. სწორედ სამყაროს ხატიდან მომდინარეობს ღირებულებები, იერარქიისა და სააზროვნო პარადიგმათა ტიპები, ადამიანის ქმედებათა არბიტრალურობა.

სრულად ვეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებსაც:

- I. ადამიანი გამოსახავს სამყაროს როგორც სურათს (ხატს);
- II. ადამიანი აცნობიერებს სამყაროს როგორც სურათს (ხატს);
- III. სამყარო გარდაისახება სურათად (ხატად);
- IV. იპყრობს რა სამყაროს, ადამიანი იპყრობს სურათს (ხატს).

და ბოლოს, ასევე ვიზიარებთ, რომ:

- I. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა სამყაროზე დამკვირვებელ და სამყაროსთან კონტაქტში მყოფ ადამიანთა რაოდენობას;
- II. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა ადამიანთა მსოფლხედვის პრიზმათა რაოდენობას;
- III. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა იმ სამყაროთა რაოდენობას, რომელსაც აკვირდება ადამიანი.

თემის აქტუალობა: აშკარაა, რომ ვერც აღნიშნულ თვალსაზრისთა ჭეშმარიტება და ვერც შემოთავაზებულ დეფინიციათა ვალიდურობა ვერ აქრობს ფენომენის ხელშეუხებლობის განცდას, შესაბამისად კი, ვერ უზრუნველყოფს სამყაროს ხატის ადეკვატური მოდელირების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას. სწორედ აღნიშნული ფაქტი განპირობებს საკვლევით.

თემის მიზანს წარმოადგენს ენის განხილვა თანამედროვე ანთროპოცენტრული პარადიგმის ფარგლებში, რაც მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს ენის ფენომენის შემდეგი ტიპის გააზრებას: ენა არის იმ ნააზრევის გადმოცემის საშუალება, რომელსაც ენა „ფუთავს“ ენობრივ სტრუქტურაში. ცოდნა, რომელიც ამ დროს გამოიყენება, გულისხმობს ცოდნას ენის, სამყაროს, სოციალური კონტექსტისა და აშ. შესახებ.

საკვლევი თემის მიზანმა, შესაძლოა, მიიღოს ამგვარი ფორმულირება: მიზანია, პასუხი გაეცეს შემდეგ აქტუალურ კითხვას: რა მასალით უნდა აიგოს სამყაროს ენისმიერი ხატი, უფრო ზუსტად კი, რა ტიპის ერთეულია მაქსიმალურად ეფექტური სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირებისათვის?

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპების განხორციელება, როგორცაა:

- I. სპეციალური ლიტერატურის მოძიება და ანალიზი;
- II. კონცეპტის ენობრივი ობიექტივატორების განსაზღვრა თანამედროვე ინგლისურ ენაში;
- III. ენობრივ ობიექტივატორთა კოგნიტური ინტერპრეტაცია, სხვა სიტყვებით, იმ კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანთა გამოვლენა, რომლებიც აყალიბებს საკვლევ კონცეპტს მენტალურ ერთეულად;
- IV. კონცეპტთა ქსელის კონფიგურაციის განსაზღვრა;
- V. კონცეპტთა ქსელის ანალიზის შედეგად კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: სავარაუდოდ, მოდელის სტატუსის მქონე ერთეულის სისრულე და ობიექტურობა მიღწევადია მხოლოდ მაშინ, თუ კონსტრუქტი წარმოადგენს კონცეპტის შინაარსის შემანარჩუნებელ თვისებრივად განსხვავებულ ძალთა შეთანხმებული მოქმედების სივრცეს. ამგვარი სივრცის გენერირება, სავარაუდოდ, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სინთეზირებულია ორი ტიპის ანალიზი, რომელთაგან ერთი მიმართულია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე,

მეორე კი - იმ კონცეპტთა ძიებაზე, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას.

კვლევის მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს პოლიპარადიგმულობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს თანამედროვე ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში არსებულ სხვადასხვა კონცეპტთა ქსელის ანალიზს როგორც ლინგვოკოგნიტურ, ისე სისტემურ-სტრუქტურულ თეორიათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირებით. ეს მეთოდებია ანალიზის სემანტიკური და კონცეპტუალური სახეობები.

ნაშრომში გამოყენებულ მეთოდოლოგიის თავისებურებას განსაზღვრავს შემდეგი დებულების შინაარსი: ენა ერთდროულად არსებობს როგორც სისტემა და როგორც ქმედება და ეს ფაქტორი ხსნის არა მხოლოდ მისი რთული ბუნების არსებობას, არამედ ენისა და ენობრივი ერთეულების კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების მუდმივი ძიების პროცესს.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდები შემუშავებულია კვლევისადმი იმანენტურ (სემური ანალიზი) და არაიმანენტურ (კონცეპტუალური ანალიზი) მიდგომათა ფარგლებში.

იმანენტური კვლევა განხორციელებულია სემური ანალიზის მეშვეობით, არაიმანენტური კვლევა კი - კონცეპტუალურ ანალიზზე დაყრდნობით.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების ტექნიკის დეტალიზაცია, კერძოდ კი:

- I. კონცეპტის ქსელის კონფიგურაციის განსაზღვრა თანამედროვე ინგლისურ ენაში;
- II. სამყაროს ენისმიერი ხატის ადეკვატური მოდელირებისათვის მაქსიმალურად ეფექტური ერთეულის იდენტიფიცირება;
- III. მთლიანობად გააზრებული ერთეულის ინტერპრეტაცია ანთროპოცენტრისტული, კერძოდ კი, ლინგვოკოგნიტური პერსპექტივიდან.

ენის შესახებ არსებულ თანამედროვე და უახლესი თეორიები ძირითადად ხასიათდება ურთიერთგამომრიცხავი დებულებებით. აღნიშნულ თეორიების ანალიზის საფუძველზე ერთიანი მიდგომის შემუშავება წარმოადგენს თემის მეცნიერულ სიახლეს. ენა გაიგება როგორც ადამიანის ფსიქიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მაკავშირებელი რგოლი. აქედან გამომდინარე, ლინგვისტური კვლევა აღარ წარმოადგენს ენის კვლევას „თავის თავში“, არამედ გულისხმობს ენისა და აზროვნების ურთიერთკავშირებისა და მექანიზმების შესწავლას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკის, ისე

სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების პრობლემის ანალიზი ფართო შესაძლებლობებს შლის როგორც ნიშანთა ცალკეულ სისტემათა იერარქიის, ისე ცალკეული კულტურების სოციალური და ისტორიული ფესვების წვდომის თვალსაზრისით. ენა სიმბოლურად ასახავს ნაციონალური და ინდივიდუალური მენტალიტეტის გაუცნობიერებელ ინტენციებს. ამდენად, სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების შესაძლებლობათა ანალიზი კვლევის არეალში აქცევს ცნობიერებისა და კულტურის იმ კონტექსტებსაც, რომელშიც ნიშანთა ესა თუ ის სისტემა ჩამოყალიბდა და განვითარდა. სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს ნაშრომის თეორიულ ღირებულებას, რომლის დეტალიზირებული ვერსია შემდეგნაირად ჟღერს:

- I. ნაშრომში კონცეპტუალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდთა სინთეზირების მეშვეობით იდენტიფიცირებულია სამყაროს ენისმიერი ხატის ადეკვატური მოდელირებისათვის მაქსიმალურად ეფექტური მთლიანობა თანამედროვე ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში არსებულ სხვადასხვა კონცეპტთა ქსელის ანალიზის გზით.

კვლევის მასალად გამოყენებულია ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელიც მასალა მოპოვებულია ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონებიდან, ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელის რეპერტუარიდან.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I - ენა და სამყაროს ხატი

1.1. სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალური ხატების დიფერენცირების პრობლემა

სამყაროს ხატი ადამიანის ცნობიერების რეალობაა და ადამიანი ამ ცნობიერებას მთელი თავისი ცხოვრების მიზნად აქცევს: ადამიანი ცდილობს, ადეკვატური საშუალებებით შექმნას საკუთარი თავისათვის სამყაროს ხატი. ამ მცდელობის მიზანი სამყარო შეცვლაა. ეს ცვლილება კი სწორედ ხატის მეშვეობით ხორციელდება. სწორედ ამ ხატის შექმნაზე გადააქვს ადამიანს თავისი სულიერი ცხოვრების სიმძიმის ცენტრი. (Kearney/კერნი, 1975). ერის მსოფლმხედველობა „ლაგდება“ სამყაროს სურათში: ყოველი ცივილიზაცია წარმოადგენს სოციალურ სისტემას, რომელიც ხასიათდება საყაროს აღქმის განსაკუთრებულობით. ნებისმიერი ლინგვოკულტურული საზოგადოების მენტალიტეტი განპირობებულია სწორედ მისი სამყაროს ხატით, რომელშიც იკვეთება მისი წევრების (ადამიანების) მსოფლმხედველობა და სამყაროს აღქმის თავისებურება. სამყაროს ხატი იგება ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის შესწავლით. თუკი სამყარო არის ადამიანისა და გარემოს ურთიერთკავშირი, მაშინ სამყაროს ხატი, როგორც გარემოსა და ადამიანის შესახებ ინფორმაციის გადამუშავების შედეგი, წარმოადგენს მის კავშირს ადამიანთან. ადამიანს არ გააჩნია იმ ფაქტებისა და საგნების აღქმის უნარი, რომელნიც არ არსებობს მის წარმოდგენაში სამყაროს შესახებ. (Molcar/მოლკარი, 1986).

გარე სამყაროში არსებული მოვლენები და საგნები ადამიანის ცნობიერებაში წარმოდგენილია ხატის სახით. ეს კი ნიშნავს იმის დაშვებას, რომ არსებობს განსაკუთრებული კვაზიგანზომილება, რომელიც თავისი არსით ემთხვევა ერთგვარ აზრობრივი ველს, მნიშვნელობათა სისტემას. გამოდის, რომ სამყაროს ხატი ერთგვარი წარმოსახვის სისტემაა. (Holmes/ჰოლმსი, 1967).

სხვადასხვა ადამიანებს სამყაროს სხვადასხვა კონცეპტუალური ხატი აქვთ. ხატი ვარიანტებს ეპოქის, სოციალური თუ ასაკობრივ ჯგუფების, სამეცნიერო ცოდნის სფეროების მიხედვით. ადამიანებს, რომელნიც საუბრობენ სხვადასხვა ენაზე, შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაში ჰქონდეთ სამყაროს მსგავსი კონცეპტუალური ხატი, ხოლო ადამიანებს, რომლებიც საუბრობენ ერთიდაიმავე ენაზე - განსხვავებული. შესაბამისად, სამყაროს კონცეპტუალურ ხატში იკვეთება კავშირი ზოგადად ადამიანურ, ნაციონალურ და პიროვნულ ფაქტორებს შორის. (Osika/ოსიკა, 1995).

სამყაროს სურათი არ არის ფოტოების, საგნების, პროცესებისა თვისებების მარტივი წყება - იგი მოიცავს არა მხოლოდ ობიექტის ასახვას, არამედ პოზიციას, რომელიც ასახავს სუბიექტს, მის დამოკიდებულებას ამ საგნების მიმართ. ამასთანავე, სუბიექტის პოზიცია

ისეთივე რეალურია, როგორც თავად ობიექტი. უფრო მეტიც, რადგანაც ადამიანის მიერ სამყაროს ასახვა არ წარმოადგენს პასიურ პროცესს, ამდენად, ობიექტთან ურთიერთობა გულისხმობს მისი შევცლის შესაძლებლობასაც. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სოციალურ-ტიპური პოზიციების სისტემები, ურთიერთობები და შეფასებები ნიშანთა სისტემის მეშვეობით ასახვას პოულობს ნაციონალური ენის სისტემაში და იღებს მონაწილეობას სამყაროს ენობრივი სურათის კონსტრუირებაში. (Jones/ჯონსი, 1972).

შესაბამისად, სამყაროს ხატი არის მთლიანი, სამყაროს გლობალური ხატი, რომელიც არის ადამიანის მთელი სულიერი სამყაროს შედეგი. იგი წარმოიქმნება ადამიანში მისი სამყაროსთან კონტაქტის შედეგად. სამყაროს შეცნობის დროს ადამიანი იქმნის თავის შეხედულებას სამყაროზე, ანუ მის ცნობიერებაში წარმოიქმნება ერთგვარი „სამყაროს სურათი“, ან „სამყაროს ენობრივი ხატი“. რადგანაც სამყაროს ხატის/სურათის წარმოქმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ენასთან და მეტწილად განისაზღვრება ენის მიერ, მას უწოდებენ „სამყაროს ენობრივ ხატს“. სამყაროს კონცეპტუალური სურათი, რომელიც უფრო მდიდარია ვიდრე სამყაროს ენობრივი სურათი, ავლენს გარკვეული „მიზიდულობას“ ენისადმი, სხვა სიტყვებით, სამყაროს კონცეპტუალური ნაწილი ვერბალიზდება ენობრივი ფორმების მეშვეობით. (Huttar/ჰუტარი, 1977).

სამყაროს სურათი შეიძლება იყოს წარმოდგენილი სივრითი, რაოდენობითი, ეთიკური და სხვა პარამეტრების მეშვეობით. მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ენა, კულტურა, ტრადიციები და სხვადასხვა ტიპის სოციალური ფაქტორები. სამყაროს ხატი შეიძლება იყოს მთლიანური - რელიგიური, ფილოსოფიური, ფიზიკური. სამყაროს ხატი შეიძლება გამოხატავდეს სამყაროს რაიმე ფრაგმენტსაც, უფრო ზუსტად კი, იყოს ლოკალური. (Geertz/გირცი, 1973).

ფილოსოფოსები და ლინგვისტები განასხვავებენ სამყაროს კონცეპტუალურ და ენობრივ სურათებს.

სამყაროს კონცეპტუალური სურათი სხვადასხვა ხალხს ერთნაირი აქვს, რადგან ადამიანის აზროვნება ერთიანია. სამყაროს ნაციონალური სურათი კი წარმოადგენს ერის განსაკუთრებულობის/განსხვავებულობის მანიფესტაციას.

სამყაროს ენობრივი სურათი ასახავს სამყაროს ნაციონალურ სურათს და შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულებში.

ენა არის სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ვერბალიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება. ამ ცოდნის ერთიანობა, რომელიც გამოსახულია ენის ფორმით, წარმოადგენს

იმას, რასაც სხვადასხვა კონცეფციაში ეწოდება „ენობრივი სამყარო“, „სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“, „სამყაროს ენობრივი მოდელი“, „სამყაროს ენობრივი ხატი“.

(Oakley/ოაკლი, 1998).

სამყაროს სურათს (რეალური სამყაროს ასახვა) და სამყაროს ენობრივ სურათს (როგორც ამ გამოხატულების ფიქსაცია) შორის ფიქსირდება რთული მიმართება: მათ შორის საზღვრები თითქოსდა არამდგრადი და არაგანსაზღვრულია. რამდენადაც სამყაროს შეცნობა ადამიანის მხრიდან არ არის უშეცდომო, ამიტომ მისი კონცეპტუალური სისტემა, მუდმივად იცვლება, „გადაიხატება“, მაშინ როცა სამყაროს ენობრივი სურათი უფრო დიდხანს ინარჩუნებს ამ შეცდომების კვალს. სამყაროს ხატი, რომელიც კოდირებულია ენობრივი სემანტიკის მეშვეობით, დროსთან ერთდ შეიძლება იყოს გაცვდეს, მოძველდეს. ენის როლი მხოლოდ ინფორმაციის გადაცემით არ შემოიფარგლება, არამედ, პირველ რიგში, იმის შინაგანი ორგანიზებით, რაც მიეკუთვნება შეტყობინებას. წარმოიქმნება ერთგვარი „მნიშვნელობის სივრცე“ რომელშიც ერთმანეთს ერწყმის ნაციონალურ-კულტურული გამოცდილება. ასე ყალიბდება იმ ენაზე მოსაუბრეთა სამყარო, ანუ სამყაროს ენობრივი სურათი, რომელიც დაფიქსირებულია ლექსიკასა გრამატიკაში. (ჯონსი, 1971).

სამყაროს კონცეპტუალურ და ენობრივ სურათებს შორის არსებული მიმართების დადგენის პრობლემის გადაჭრისას, ლინგვისტები ცდილობენ დაადგონინ, თუ როგორ ფორმირდება ესა თუ ის კონცეპტი. გამოიყოფა მთელი რიგი საბაზო კოგნიტური კატეგორიები (კონცეპტები). ასეთი უნივერსალურ კონცეპტებს მიეკუთვნება: დრო; რიცხვი; მეგობრობა და ა.შ.

ადამიანის ცხოვრებაში სამყაროს ენობრივი სურათი წინ უძღვის კონცეპტუალურ სურათს და აყალიბებს მას, რადგანაც ადამიანს შეუძლია შეიცნოს/გაიგოს სამყარო და საკუთარი თავი ენის წყალობით. სწორედ ენაში დევს ისტორიული გამოცდილება, როგორც ზოგადად ადამიანური, ისე ნაციონალურიც. ერთი მხრივ, ადამიანების ცხოვრების პირობები, რომელიც მატერიალურ სამყაროს ერთვის, განსაზღვრავს ადამიანის აზროვნებისა და ქცევის სტილს, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ენაში. მეორე მხრივ, ადამიანი აღიქვამს სამყაროს უშუალოდ თავისი მშობლიური ენის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის აზროვნებისა და ქცევის სტილს. (Spradley & McCurdy/სპრედლი & მაკ კარდი, 1975).

ამკარაა, რომ სამყაროს ენობრივი ხატი/სურათი, მჭიდროდაა დაკავშირებული კონცეპტუალურ სისტემასთან. ადამიანის ცნობიერებაში ფიქსირებული სამყაროს ხატი

შეიძლება განხილულ იქნას სამყაროს მეორადი არსებობის ფორმად, რომელიც მიმაგრებულია/ჩადებულია და რეალიზებულია განსაკუთრებულ მატერიალურ ფორმაში - ენაში. ერთი და იგივე ენა, ერთი და იგივე საერთო-ნაციონალური გამოცდილება საზოგადოების კონკრეტულ ნაწილში ქმნის სამყაროს მსგავს ენობრივ სურათს/ხატს, რაც გვადლეს საშუალებას ვისაუბროთ, ერთგვარ მთლიან/განზოგადებულ ნაციონალურ სამყაროს ენობრივ ხატზე/სურათზე. (Langacker/ლანგაკერი, 1998).

მსოფლიოს სურათი ბევრი თანამედროვე ლინგვისტის მიერ გაგებულია, როგორც მსოფლიოს საწყისი გლობალური სახე, რომელიც საფუძლად უდევს ადამიანის მსოფლმხედველობას. მსოფლიოს სურათი, როგორც ობიექტური რეალობის სუბიექტური სახე, განსხეულდება გამოსახულებით ფორმებში, მაგრამ, იმავდროულად, იგი რჩება რეალობის სახედ. (Geeraerts/გერერცი, 1993).

1.2. სამყაროს ხატის მარკერები

მსოფლიოს სურათი იქმნება ისეთი პროცესების შედეგად, როგორიცაა: ექსპლიკაცია, ექსტრაპირების, განსხეულება, ობიექტივირება და გაანალიზება.

ცნებას „მსოფლიოს კონცეპტუალური სურათი“ იკვლევს სხვადასხვა მეცნიერება, რომელთაგან თითოეული განიხილავს მოცემული ცნების არსს თავისი პრობლემატიკის ჩარჩოში. ლინგვისტიკა იკვლევს ენობრივი საშუალებების მიერ შინაარსის ფიქსაციის ხერხებს. ლინგვისტიკაში ცნების „ენობრივი მსოფლიო სურათი,, გაჩენა წარმოადგენს გნოსეოლინგვისტიკის, როგორც ლინგვისტიკის ნაწილის წარმოშობის სიმპტომს, რომელიც ვითარდება ანთროპოცენტრულ საწყისებზე. (Duranti/დურანტი, 2013).

მსოფლიოს სურათი იქმნება ადამიანის შემეცნებითი საქმიანობისა და მისი აზროვნების შესაძლებლობათა მეშვეობით. მსოფლიო სურათის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად თვლება მთლიანობა, ხოლო ელემენტად კი - აზრი, რომელიც ხასიათდება ინვარიანტულობით, აქტუალობით, სუბიექტურობით, არასრული ექსპლიკაციით, სრული აღქმის მიუწვდომლობით, კონტინუალობით, დინამიურობით. მთლიანობასთან ერთად, გამოიყოფა მსოფლიო სურათის ისეთი მარკერები, როგორიცაა კოსმოლოგიურობა (მსოფლიოს სახის გლობალურობა), უპირობო სანდოობა სუბიექტებისათვის, სტაბილურობა, დინამიურობა, სიცხადე, ელემენტთა კონკრეტულობა. (Lucy/ლუსი, 1997).

„მსოფლიოს ენობრივი სურათი,, როგორც ტერმინი, წარმოიშვა ენის სინამდვილესთან უშუალო ურთიერთქმედების შედეგად (აზროვნების გვერდის ავლით). სინამდვილეში, ენისა და სინამდვილის ამგვარი უშუალო კონტაქტი არ არსებობს.

ენა კი არ ასახავს სინამდვილეს, არამედ გამოსახავს მას ნიშნების სახით. გამოსახვის შედეგია კონცეპტები (აზრი). მსოფლიო სურათი წარმოადგენს მტისმეტად რთულ მოვლენას - იგი ვარიაციულია და ცვალებადი. მასში ერთდროულად არის კონსტანტები, რომლებიც დამახასიათებელია ყოველი ინდივიდისათვის, რაც უზრუნველყოფს ადამიანების ურთიერთგაგებას.

ენის სტრუქტურაში აისახება ურთიერთობები საგნებსა და მატერიალური სამყაროს მოვლენებს შორის, რომლებიც არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან და მისი საზოგადოებრივი მოთხოვნილობებისაგან დამოუკიდებლად. (Keesing/კისინგი, 1976). ამგვარად, ნიშნობრიობა და გამომსახველობითობა უნივერსალურია ყველა ენისათვის, რაც, სხვათა შორის, არ გამორიცხავს თითოეული მათგანის განსაკუთრებულობას. ერთ-ერთი პირველი ლინგვისტაგანი, ვინც ყურადღება მიაქცია ენისა და აზროვნების ნაციონალურ შინაარსს, იყო ვ. ფონ ჰუმბოლდტი. (Humboldt/ჰუმბოლდტი, 1985).

მეცნიერმა აღიარა, რომ ენა და აზროვნება განუყოფელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. იგი ვარაუდობდა, რომ „ენის გამოყენების პროცესი განპირობებულია იმ მოთხოვნილებებით, რამელსაც აზროვნება უყენებს ენას“. ენის ბუნებაში არის ის საერთო, რაც აერთიანებს სხვადასხვა ენებს. ენა წარმოქმნის აზრს, ცნებათა სისტემას. ყოველ ადამიანს აქვს სუბიექტური სახე ერთგვარი საგნისა, რომელიც სრულად არ ემთხვევა იგივე საგნის სახეს სხვა ადამიანში, და ეს წარმოადგენს ობიექტივირდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაიკვლევს „გზას ბაგეების გავლით შინაგან სამყაროში“. სიტყვა, ამგვარად, ზიდავს ტვირთს სუბიექტური წარმოდგენებისა, რომელთა განსხვავებები ექცევა განსაზღვრულ ჩარჩოებში, ვინაიდან მათი მატარებლები არიან ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივის წევრები, რომელთა ხასიათი და შემეცნება დეტერმინირებულია ეროვნული მარკერით. ამგვარად, ვ. ფონ ჰუმბოლდტის მიხედვით, ცნებათა სისტემისა და ფასეულობათა სისტემის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ენა. მისი ეს ფუნქცია უნივერსალურია ყველა ენისათვის. განსხვავებების საფუძვლს წარმოადგენს ხალხების - ენის მატარებლების - სულიერი სახის თავისებურება, მაგრამ ენების უმთავრესი განსხვავება მდგომარეობს თავად ენის ფორმაში, აზრებისა და გრძნობების გადმოცემის ხერხებში. (ჰუმბოლდტი, 1988).

და ბოლოს, ენები განსხვავდება ასევე მათში წარმოდგენილი მენტალური შინაარსით, „ინტელექტუალური მხარით“. ეს განსხვავებაც ეფუძნება ერების ნაციონალურ-სულიერ თავისებურებებს. ფანტაზია და გრძნობები იწვევენ ინდივიდუალურ სახეებს, რომლებშიც გამოსახება ერების ინდივიდუალური ხასიათი და ბადებენ ფორმათა მრავალფეროვნებას, რომლებშიც განსახიერდება ერთი და იგივე შინაარსი. მრავალ კითხვათა შორის, რომელსაც ენა „სვამს“ მკვლევარების წინაშე, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო არის კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ აყალიბებს ენა მსოფლიოს სურათს. მაგრამ, თავდაპირველად, რამოდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა არის მსოფლიოს სურათი? რობერტ რედფილდი მსოფლიოს სურათს განსაზღვრავს, როგორც სამყაროს იმგვარ ხედვას, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ხალხისათვის.

(Redfield/რედფილდი, 1953). ეს არის საზოგადოების წევრთა წარმოდგენა საკუთარ თავსა და საკუთარ ქმედებებზე, საკუთარ ცხოვრებასა და სამყაროში საკუთარ აქტივობაზე. ერთერთი ჰუმანისტი ფილოსოფოსის თანახმად, „ადამიანი ფლობს გონიერებას და წარმოსახვას და ეს ფაქტი აუცილებელს ხდის, რომ მას ჰქონდეს არა მხოლოდ საკუთარი იდენტობის გრძნობა, არამედ ინტელექტუალურად ორიენტირდეს სამყაროში. რაც უფრო ვითარდება მისი გონება, მით უფრო ადეკვატური ხდება მისი ორიენტაციის სისტემა, ანუ მით უფრო უახლოვდება იგი რეალობას“. სავსებით ნათელია, რომ მსოფლიოს სურათის თავისებურება დამოკიდებულია ადამიანის გონებრივ განვითარებაზე. (Fromm/ფრომი, 1941).

მ. ჰაიდეგერის თვალსაზრისით, ადამიანს სამყარო ესმის და აღიქვამს მას, როგორც სურათს, ესე იგი, სამყარო მისთვის გადაიქცევა სურათად და სწორედ ასე სწავლობს მას. (Heidegger/ჰაიდეგერი, 1949).

რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ენის პოზიციიდან? მსოფლიოს სურათი - ეს არის სამყაროს განსაზღვრული ხედვა და მსოფლმხედველობის კონსტრუირება ლოგიკის შესაბამისად; ეს არის სამყაროს განსაზღვრული სახე, რომელიც არასოდეს არის მისი სარკისებრი გამოსახულება, ისევე როგორც, არ არის ერთი და იგივე სახლი და სახლის ნახატი. ერთი და იგივე სახლი ხომ შეიძლება დავხატოთ სხვადასხვაგვარად, შეიძლება დავინახოთ იგი სახვასხვა მხრიდან. და ხომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომელიმე ნახატი არ არის სწორი?

ისევე, როგორც არ გვანან ცალკეული ადამიანები ერთმანეთს, ეს მაშინ, როცა ბევრი საერთო აქვთ, ასევე არ გვანან ცალკეული ერები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საერთო აქვთ. (Saunders/სანდერსი, 2011). იმას, რაც ჩვენ ერთნაირი გვაქვს, უნივერსალები ქვია.

მაგრამ თუ არის უნივერსალთა, მაშინ, უნდა არსებობდეს უნიკალურიც, განუმეორებელიც. განსხვავებული ერები ისევე განსხვავდება, როგორც განსხვავებული ადამიანები - როგორც ცალკეულ ადამიანს აქვს საკუთარი წარმოდგენა სამყაროზე, ისე ცალკეულ ერს გააჩნია მსოფლიოს თავისებური ხედვა. ენა გამოხატავს მასზე მოლაპარაკე ყველა ადამიანის ზოგად წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორაა მოწყობილი სამყარო. ენა - ეს არის სარკე, რომელიც დგას ადამიანსა და სამყაროს შორის. (ჰაიდეგერი, 1989). თანამედროვე ლინგვისტიკაში აღიარებულია, რომ ყოველი ენა გამოხატავს საკუთარ მსოფლიოს სურათს, რომელიც აისახება ენაში. ამიტომ ლინგვისტიკაში ჩვენ ვსაუბრობთ მსოფლიოს ენობრივ სურათზე. ყოველი ერის ენის სიტყვებში აისახება ის, თუ როგორ იქნა დანახული და გაგებული სამყარო. (Hockett/ჰოკეტი, 1958).

სინამდვილე პროექტირდება ბუნებრივ ენაში და, უპირველეს ყოვლისა, მის სემანტიკაში. ამიტომ მსოფლიოს ენობრივი სურათი განსხვავდება ნამდვილი სამყაროსაგან. ეს აიხსნება, ჯერ ერთი ადამიანის ორგანიზმის თავისებურებებით (მაგალითად, ადამიანი ხედავს შუქს და ფერს, და ამიტომ ისინი არის მსოფლიოს ენობრივ სურათში, მაგრამ ვერ ხედავს რენტგენის სხივებს და ისინი მასში არ აისახება). მეორეც, მსოფლიოს ენობრივი სურათი განსხვავდება ნამდვილი სამყაროსაგან კონკრეტული ენებისა და კულტურების სპეციფიკიდან გამომდინარე. ენაში არსებობს გაუხმოვანებელი კოლექტიური შეთანხმება (კონვენციონალიზაცია) მოსაუბრეებისა, გამოხატონ საკუთარი აზრები განსზღვრული სახით. ამიტომ სხვადასხვა ერების მსოფლიოს სურათი სხვადასხვაგვარად ახდენს ერთი და იმავე სიტუაციათა კატეგორიზაციას. (Long/ლონგი, 1989).

რა გამომდინარეობს ამ ყველაფრიდან?

1. ყოველი ერი თავისებურად ხედავს გარემომცველ სინამდვილეს და ეს ფაქტი აისახება ენაზე;
2. სხვადასხვა ენების მატარებლები სხვადასხვაგვარად ანაწევრებენ გარემომცველ სამყაროს ფრაგმენტებად, რომლებიც იღებენ დამოუკიდებელ დასახელებებს;
3. განსხვავებები სამყაროს აღქმაში ვლინდება ენაში არა მხოლოდ ლექსიკის დონეზე, არამედ გრამატიკის, სიტყვათწარმოქმნის, ფრაზეოლოგიისა და მორფოლოგიის დონეებზეც. მაგრამ სწორედ ლექსიკა, სემანტიკა წარმოადგენს სათავსოს, სადაც თავმოყრილია ხალხის გამოცდილება სამყაროს აღქმისა. (ლანგაკერი, 1994).

ახლა კი შევეცადოთ განვაზოგადოთ ის, რაზეც ვისაუბრეთ. რითი განსხვავდება ცნებები „მსოფლიოს სურათი“ და „მსოფლიოს ენობრივი სურათი“?

1. სამყაროს ენობრივი სურათი - „სამყარო ენის სარკეში,“ - ეს არა მხოლოდ ერთგვარი კოდია და საშუალება აზრის გამოხატვისა, არამედ, ჰუმბოლდტის თანახმად, „ერის სულის გამოსახულება“;
2. მსოფლიოს სურათი ადამიანის ფსიქიკაში საგნობრივი გარემომცველი სინამდვილის გამოხატულებაა“;
3. რეალურ სამყაროსა და ენას შორის არსებული მიმართება შეიძლება, წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: რეალური სამყარო, ენა, საგანი, მოვლენა, სიტყვა. თუმცა სამყაროსა და ენას შორის დგას ენის მატარებელი - მოაზროვნე ადამიანი (Lee/ლი, 2002).

მსოფლიოს ზოგადი სურათი, რომელსაც ქმნის კულტურა, მატერიალიზდება სხვადასხვა ნიშანთა სისტემაში, რომელთაგან ყველაზე უნივერსალური არის ენა. ამიტომ ენა თავისი არსით წარმოადგენს სტრუქტურულად ორგანიზებულ კლასიფიკაციას ადამიანის გამოცდილებისა. ხ.ლ. ბორხესის თქმით, „ყოველი ენა წარმოადგენს სიმბოლოთა ანბანს, რომელთა გამოყენებაც გულისხმობს თანამოსაუბრესთან გაკვეულ საერთო წარსულს“. (Borges/ბორგესი, 1999).

ენის წიაღში ყალიბდება მსოფლიო ენობრივი სურათი. მაგრამ არ შეიძლება ბუნებრივ ენაზე აღწერო სამყარო, ისე როგორც არის: ენა საწყისშივე უხატავს თავის მატარებელს განსაზღვრულ მსოფლიო სურათს, თანაც თითოეული მოცემული ენა თავისას.

ნებისმიერი ბუნებრივი ენა გამოხატავს რეალობის კლასიფიკაციას, რომელიც არსებობს კონკრეტული ნაციონალური ენის მატარებლის კოლექტიურ ენობრივ ცნობიერებაში. ბუნებრივი ადამიანური ენის დახმარებით პოულობენ გამოხატულებას მსოფლიოს სხვა სურათებიც, რომლებსაც ადამიანი ქმნის შემეცნებითი საქმიანობის პროცესში. ადამიანი ხომ სამყაროს შეიცნობს თავისი ენის ლექსიკური სისტემის საშუალებით. ასე იქმნება მეცნიერული, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა მსოფლიოს სურათები, რომელთაგან თითოეული მოიცავს სამყაროს მხოლოდ ცალკეულ ასპექტში. ენის დახმარებით გამოცდილი ცოდნა, რომელსაც იღებს ცალკეული ინდივიდი, გარდაიქმნება კოლექტიურ კოლექტიურ გამოცდილებად. (Hart & Luke/ჰარტი & ლუკი, 2007).

წარმოადგენს რა ადამიანსა და რეალობას შორის შუამავალს, მსოფლიოს ენობრივი სურათი აფიქსირებს სამყაროს ნაციონალურ ხედვას. მსოფლიოს ენობრივი სურათი

აერთიანებს ცოდნის მენტალური ორგანიზების სისტემების სხვადასხვა ელემენტებს ანუ მსოფლიოს სხვადასხვა სურათებს, რომლებსაც აგებს ადამიანი.

მსოფლიოს სურათის ცალკეული ფრაგმენტები, რომლებიც კოდირებულია ენობრივი სემანტიკის საშუალებებით, დროთა განმავლობაში შეიძლება მოძველდეს. ადამიანი ითვისებს სამყაროს - წარმოიქმნება ახალი რეალიები მსოფლიოს ენობრივ სურათზე: ელექტრონული ფული, პიკის საათი, კომპიუტერი, საკრედიტო ბარათი, მონიტორინგი... მსოფლიოს ენობრივ სურათში აისახება ასევე მისი ფასეულობითი შეფასება. ენის ფაქტების მიხედვით შეიძლება თვალი ვადევნოთ, თუ როგორ აისახება მასში ზოგადსაკაცობრიო უნივერსალური ფასეულობები და ის ფასეულობები, რომლებიც გამოირჩევა ეროვნული და კულტურული კოდებით. მსოფლიოს სურათი ყოველთვის ხასიათდება ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკით, ვინაიდან ყალიბდება ისტორიული მოვლენების, გეოგრაფიული პირობების და ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების გავლენით. თუმცა, ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა ჩნდება მხოლოდ სამყაროს აღქმის ზოგადსაკაცობრიო ერთიანობის ფონზე: ენის ფაქტების ანალიზით ხელმისაწვდომი ხდება სამყაროს გლობალური ინვარიანტული სახე, რომელშიც გამოსჭვივის უნივერსალური საკვანძო ცნებები ერთიანი ზოგადსაკაცობრიო კულტურათაშორისი სივრცისა. (Günter/გუნტერი, 1992).

თავი II. კოგნიტივიზმის არსი

2.1. კოგნიტური ლინგვისტიკა - ლინგვისტური რეალობის ახალი ხედვა

კოგნიტივიზმი წარმოადგენს მეცნიერებას ცოდნის, შემეცნებისა და სამყაროს აღქმის თავისებურებათა შესახებ. იგი იკვლევს ადამიანის გონებას, აზროვნებასა და მენტალურ პროცესებს.

კოგნიტივიზმის თანახმად, ადამიანის ქმედება დეტერმინირებულია მისი შინაგანი მდგომარეობით, რომელიც, თავის მხრივ, ინტერპრეტირებულია როგორც ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, შენახვა და მობილიზაცია. ეს უკანასკნელი ემსახურება კონკრეტულ ამოცანათა რაციონალურად გადაჭრას. იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული ამოცანის გადაჭრა უშუალო კავშირშია ენის გამოყენებასთან, ენა მოექცა კოგნიტივისტთა ყურადღების ცენტრში. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ყველა არსებულ სისტემას შორის, ენა ყველაზე ძლიერია სემანტიკური თვალსაზრისით - იგი არის არა მხოლოდ ინფორმაციის, ცოდნის, შეტყობინების, გადატანის და მიღების საშუალება, არამედ იგი არის მიღებული ინფორმაციის ყველაზე მძლავრი პროცესორი და „ჩარჩოთა“ კონსტრუქტორი. სწორედ აღნიშნულ „ჩარჩოთა“ მეშვეობით ლაგდება მეხსიერებაში ცოდნა და იქნება სამყაროს ენისმიერი ხატი. (Lakoff/ლაკოფი, 1990).

ვ.ა. ზვეგინცევი წერდა, რომ ცოდნის არსებითი მახასიათებელი მისი დისკრეტულობაა და რომ სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს, მივმართოთ ენას, რომელიც ამ შემთხვევაში ასრულებს სამ ფუნქციას: „იგი ასრულებს ცოდნის დანაწილების, ობიექტივიზაციისა და საბოლოოდ კი ინტერპრეტაციის ფუნქციებს. ეს ფუნქციები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან“. (Звегинцев/ზვეგენცევი, 1996). თავიანთ თანაარსებობაში ისინი ქმნიან იმ ნიშნებს, რომლის მიხედვითად დგინდება ენის მონაწილეობა სააზროვნო პროცესებში. შესაბამისად, ენის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობა.

კოგნიტური კვლევა გულისხმობს:

1. კაცობრიობის „აზროვნების მექანიზმის“ შესწავლას;
2. ინფორმაციის გადამუშავების პროცესის თავისებურებათა ანალიზს;
3. სამყაროს მენტალური მოდელების აგებას და. ა.შ. (Gonzalez-Marquez, Coulson & Spivey/ გონსალეს-მარკესი, კოულსონი & სპივეი, 2006).

კოგნიტივიზმის საწყის ანტიკურ ეპოქაში მიყვავართ - აზროვნების კანონზომიერებათა გამოვლენის აუცილებლობა დიდი ხნის წინ აღიარეს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა

სიახლე შემოიტანა კოგნიტივიზმმა? - პასუხი შემდეგია: ძველი შეკითხვები ახლებურად დაისვა. ახლებურად დასმულ შეკითხვები კი ახალი პერსპექტივიდან ჩამოყალიბებულ პასუხებს მოითხოვს. სწორედ ამგვარი პასუხების მოძიებაა შესაძლებელი კოგნიტივიზმის ფარგლებში. ზოგიერთი მკვლევარი კოგნიტურ ლინგვისტიკას მიიჩნევს ახალ სამეცნიერო პარადიგმად. (Evans/ევანსი, 2013).

დავიწყეთ იმ საკითხებით, რომლებმაც სრულებით ახლებური იერი შეიძინა კოგნიტივიზმის კონტექსტში. ეს გახლავთ:

1. შემეცნების კვლევა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ქმედებათა ობზერვაციას, არამედ ქმედებათა მენტალური რეპრეზენტაციების ანალიზი;
2. იმ სტრატეგიათა იდენტიფიცირება, რომელთა გამოყენების შედეგად გენერირდება ქმედება;
3. ენის, როგორც ადამიანის ქმედების სამეტყველო საფუძველის, ფუნქციის განსაზღვრა;
4. მოტივების, პოზიციების, ინტენციებისა და სქემების რეალიზაციის თავისებურებათა გამოვლენა და შედეგის პროგნოზირება.

აღნიშნულ საკითხთა გაერთიანების გზით მიღებული დებულება შემდეგნაირად ჟღერს: ადამიანი იღებს და ამუშავებს ინფორმაციას, რომლის რეპრეზენტაციაც ხორციელდება კონკრეტული მოტივების, პოზიციების, ინტენციებისა და სქემების მეშვეობით.

იმის კვლევამ, თუ როგორ ოპერირებს ადამიანი სიმბოლოებით, რომლის მიხედვითადაც აღიქვამს სამყაროს და საკუთარ თავს ამ სამყაროში, გააერთიანა ლინგვისტიკა იმ დისციპლინებთან, რომლებიც იკვლევდნენ ადამიანისა და საზოგადოების მიმართების საკითხს. შედეგად კი შეიქმნა კოგნიტური ლინგვისტიკა. (Coulson & Oakley/კოულსონი & ოაკლი, 2000).

ადამიანის გამოცდილების კატეგორიზაცია დაკავშირებულია ადამიანის კოგნიტურ საქმიანობასთან - ინფორმაცია, რომელსაც ადამიანი ითვისებს/იღებს სამყაროს შემეცნებისას, თავის ასახვას ჰპოვებს ენობრივ ფორმებში.

დღეს უკვე აქსიომაა, რომ ადამიანის შესახებ არსებულ ყველა მეცნიერებაში ერთმანეთს უპირისპირდება ენობრივი და ტიპის საქმიანობა. კოგნიტოლოგიაში სწორედ ენა განიხილება იმ ფენომენად, რომელსაც ყველაზე უკეთ ძალუძს ადამიანის ქცევის გაგება/ამოცნობა.

სწორედ ენა უზრუნველყოფს აზროვნებისა და ცნობიერების პროცესების მანიფესტაციის შედარებით ბუნებრივ გზას და არა იმიტომ, რომ აზროვნების პროცესი ძირითადად

ვერბალიზებულია, არამედ იმიტომ, რომ „ჩვენ სააზროვნო სტრუქტურების შესახებ ინფორმაციას ვიღებთ ენის მეშვეობით, ენის მეშვეობითვე ვსაუბრობთ ამ სტრუქტურების შესახებ და ავღწერთ მათ“. (Маслова/მასლოვა, 2004).

კოგნიტური ლინგვისტიკა ჩამოყალიბდა სტრუქტურული ლინგვისტიკის გვერდის ავლით, მაგრამ იგი არ უარყოფს სტრუქტურულ მიდგომებს, უფრო მეტიც, იგი მოიცავს და ზოგიერთ შემთხვევაში იყენებს კიდევ მას. ენის მიმართ სტრუქტურული მიდგომები ეფუძნება ენის იმანენტურ წარმოდგენას.

ლინგვისტურ სააზროვნო სივრცეში გარდამტეხი აღმოჩნდა იმ მიმართულების გამოჩენა, რომელიც თავისი არსით არ აღიარებს:

1. იმანენტური მიდგომის ადეკვატურობას ენობრივი სისტემების ფარგლებში;
2. იმ მიდგომის ღირებულებას, რომელიც უგულბებლყოფს ენის, როგორც შემოქმედის, ფუნქციას.

ახალმა ხედვამ შეცვალა ლინგვისტური სააზროვნო სივრცე - გადაფასდა ღირებულებები. კოგნიტურ ლინგვისტიკაში ოპერირების მთავარ იარაღად გვევლინება მეხსიერების ოპერატიული ერთეულები - ფრეიმები (სტერეოტიპული სიტუაციები, სცენარები), კონცეპტები (სიტყვის მიერ „დაჭერილი“ აზრთა ერთობლიობა), გემტალტები (სამყაროს ფრაგმენტების მთლიანური, კონცეპტუალური სურათები) და ა.შ. შესაბამისად, კოგნიტური ლინგვისტიკა მიმართულია ენობრივი ცნობიერების, სამყაროს ხატის მოდელირების პრობლემაზე. რა განასხვავებს კოგნიტურ ლინგვისტიკას ტრადიციული სტრუქტურული ენათმეცნიერებისაგან? - ეს ორი პერსპექტივა წარმოადგენს ლინგვისტური რეალობის არსის წვდომის სხვადასხვა გზას. (Бодуен де Куртан/ბოდუენ დე კურტენი, 1871).

კოგნიტური ლინგვისტიკა არის ლინგვისტური მიმართულება, რომლის ყურადღების ცენტრშიც ენაა, როგორც საერთო კოგნიტური მექანიზმი, როგორც კოგნიტური ინსტრუმენტი; ეს არის ნიშანთა სისტემა, რომელიც თამაშობს ინფორმაციის რეპრეზენტატორისა და ტრანსფორმტორის როლს. (Jackendoff/ჯეკენდოფი, 1993). სწორედ კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონცენტრირდა მკვლევართა ყურადღება ენაზე, როგორც შემეცნების პირობასა და საშუალებაზე. ენა ქმნის იმ კონსტრუქტებს, რომელთა მეშვეობითაც ენის მატარებელი აღიქვამს სამყაროს ხატს.

ადამიანის მთელი შეგნებული ცხოვრება შეიძლება, განვიხილოთ იმ უნარის რეალიზაციად, რომელიც ეხმარება ადამიანს სამყაროში ორიენტაციაში. სამყაროში ორიენტაცია კი შეუძლებელია ენის გარეშე. ენის ეს ფუნქცია უკავშირდება ობიექტის

იდენტიფიცირების პროცესს, რომელიც, თავის მხრივ, ასოცირდება კონცეპტთა წარმოქმნის პრობლემასთან. კონცეპტები აერთიანებს დაკვირვებისა და წარმოსახვის შედეგებს ერთ ნიშნულამდე - ერთ რუბრიკამდე. კონცეპტი წარმოადგენს კონცეპტუალური სისტემების კონსტრუქტორს.

რამდენადაც კოგნიტური ლინგვისტიკა განიხილება სრულიად დამოუკიდებელ სააზროვნო სივრცედ, ბუნებრივია, მას უნდა გააჩნდეს თავისი ტერმინოლოგიური სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ხასიათდება, არა იმდენად ტერმინთა სიახლით, რამდენადაც სხვა სააზროვნო სივრცეებისათვის რელევანტური ტერმინების ტრანსპოზიციით. (Schiffer & Steel/ შიფერი & სტილი, 1988).

კოგნიტური ლინგვისტიკის ტერმინოლოგიური სისტემის ძირითადი კონსტიტუენტებია: ცოდნა, კონცეპტი, კონცეპტუალიზაცია, კონცეპტუალური სისტემა, კონცეპტუალური სფერო, კოგნიცია, კოგნიტური ბაზა, მენტალური რეპრეზენტაცია, კოგნიტური მოდელი, კატეგორიზაცია, ვერბალიზაცია, მენტალობა, კულტურის კონსტანტები, სამყაროს ხატი და ა.შ.

ყველა ერთეული უკავშირდება ადამიანის კოგნიტურ საქმიანობას/მოღვაწეობას, ანუ იმ მოღვაწეობას, რომლის შედეგადაც ადამიანი მიდის კონრეტულ გადაწყვეტილებამდე ან ცოდნამდე. კოგნიტური საქმიანობა/მოღვაწეობა წარმოადგენს იმ პროცესს, რომელიც თან ახლავს ინფორმაციის დამუშავებას. ამ შემთხვევაში ენობრივი საქმიანობა არის კოგნიტური საქმიანობის ერთ-ერთი სახეობა. (Cruse/კრუსი, 1991).

კოგნიტური ლინგვისტიკის კონტექსტში „შეცნობა“ გულისხმობს კონცეპტების შექმნისა და ტრანზფორმაციის პროცესს. სწორედ ამიტომ წარმოადგენს კონცეპტის კვლევა კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვექტორს. კონცეპტი გვევლინება ჩვენი ცნობიერებისა და სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნის კომპონენტებად. ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტები კოდირებულია ენაში. მაგრამ კონრეტულად სად? ზოგიერთი ლინგვისტი ირწმუნება, რომ ცენტრალური კონცეპტები ასახულია ენის გრამატიკაში, სხვათა თვალსაზრისით კი, ლექსიკა უფრო მნიშვნელოვანია კონცეპტების იდენტიფიცირების თვალსაზრისით. (ლანგაკერი, 1987).

მიუხედავად ამ საკითხის თაობაზე არსებულ თვალსაზრისთა სხვადასხვაობისა, არსებობს ერთიანი თვალსაზრისიც და იგი შემდეგნაირად ჟღერს: ენა წარმოადგენს კონცეპტების აღწერისა და განსაზღვრის საუკეთესო საშუალებას.

ამასთანავე, ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მარტივია კონცეპტი,თუ იგი ერთი სიტყვით არის წარმოდგენილი,ხოლო რთულია კონცეპტი, რომელიც რეპრეზენტაციაც ერთზე მეტ

სიტყვას საჭიროებს. მკვლევართა ერთი ნაწილი კონცეპტს სემანტიკურ ჭრილში განიხილავს და თვლის, რომ კონცეპტების იდენტიფიცირების გზას ლექსიკის კომპონენტური ანალიზი წარმოადგენს.

მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ მხოლოდ კონცეპტუალური ინფორმაციის ნაწილი ფლობს ენობრივ რეპრეზენტაციას და რომ ფსიქიკაში დაცული ინფორმაციის რეპრეზენტაცია არ არის ენობრივი - ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მენტალური რეპრეზენტაციის ისეთ სახეობებთან, როგორცაა: ნახატი, სქემა, სურათი. კონცეპტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სარწმუნო ინფორმაცია ერების მსოფლმედველობის შესახებ, როგორც უნივერსალურ, ისე უნიკალურ ჭრილში. შესაბამისად, კონცეპტების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია ვალიდურია ისეთი ფენომენის კვლევისათვის, როგორცაა ერის სული. (Barsalou/ზარსალოუ, 1992).

2.2. კოგნიტური ლინგვისტიკა - წყაროები, ფორმირების ეტაპები და ამოცადები

კოგნიტური ლინგვისტიკა ჩამოყალიბდა სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა ურთიერთქმედების შედეგად. (Croft & Cruse/კროფტი & კრუსი, 2000).

კოგნიტური მეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს ადამიანის ცოდნის რეპრეზენტაცია. კოგნიტური ლინგვისტიკა ჩამოყალიბდა ისეთი სააზროვნო სივრცის წიაღში, როგორცაა ხელოვნული ინტელექტი.

ადამიანის ტვინისა და კომპიუტერის ფუნქციონირების მსგავსება იკვეთება ადამიანისა და მანქანის მიერ ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობათა ფონზე.

ინფორმაციის თეორიიდან კოგნიტური მეცნიერება სესხულობს:

1. ინფორმაციის აღქმისა და ცოდნის სეგმენტაციის მეთოდებს;
2. ინფორმაციის დამუშავებისა და მეხსიერებაში მისი შენახვის მარკერებს;
3. ინფორმაციის რეპრეზენტაციის პრინციპებს ადამიანის ცნობიერებასა და ენობრივ ფორმებში.

კოგნიტური ლინგვისტიკა ცდილობს, პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

1. როგორ არის ორგანიზებული ადამიანის ცნობიერება?
2. როგორ შეიმეცნებს ადამიანი სამყაროს?
3. სამყაროს შესახებ არსებული რა ტიპის მონაცემები შეიძლება, იქცეს ცოდნად?
4. როგორ იქნება მენტალური სივრცეები? (Fauconnier/ფაუკონიერი, 1994).

კოგნიტური მეცნიერება ეფუძნება შემდეგ იდეებს:

1. აზროვნება წარმოადგენს ისეთი მენტალური რეპრეზენტაციებით მანიპულირების შედეგს, როგორებიცაა: ფრეიმი, სცენარი, მოდელი და ა.შ.
2. ჩვენ ვაზროვნებთ კონცეპტებით, რომელიც წარმოადგენს გლობალური კვანტებით სტრუქტურირებულ ცონდას. (კროფტი & კრუსი, 2004).

თავად ტერმინი „კოგნიტური მეცნიერება“ 70-იან წლებში გამოიყენებოდა იმ სფეროს განსამარტად, რომლის ფარგლებშიც იკვლევდნენ ადამიანის მიერ ინფორმაციის ათვისების, აკუმულაციისა და გამოყენების პროცესებს. (Величковский /ველიჩკოვსი, 1983).

კოგნიტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ადამიანის ტვინის უმთავრესი ფინქცია სამყაროს საგნებისა და მოვლენების კლასიფიცირება და კატეგორიზაცია. კატეგორია, როგორც ჩვენი კოგნიტური მოღვაწეობის შედეგი, წარმოადგენს მეხსიერებაში ხანგრძლივად ფიქსირებულ კონცეპტს.

70-იან წლებში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ ის პროცესები, რომელთა მოდელირებას ახდენს ხელოვნური ინტელექტი, არ დაიყვანება ადამიანის აზროვნების უნივერსალურ კანონამდე. ადამიანის მიერ გადაჭრილ ინტელექტუალურ ამოცანათა უმრავლესობა წყდება არა ვაკუუმში და არა სუფთა ფურცლიდან, არამედ უკვე არსებულ ცოდნაზე დამყარებით.

დღის წესრიგში დადგა ცოდნით ოპერირების საკითხი, რაც გულისხმობს ცოდნის ძიების, წარმოდგენის, შენახვისა და დამუშავების პრობლემებს კომპიუტერულ პროგრამებში. ამგვარად, კოგნიტოლოგია წარმოადგენს არა მხოლოდ ინტერდისციპლინარულ არამედ სინთეზურ მეცნიერებასაც, რომელიც ადამიანის კოგნიტური პროცესების შესწავლისას აერთიანებს, მათემატიკას, ფილოსოფიას, ლინგვისტიკას, ფსიქოლოგიას, ინფორმაციის თეორიას. (Risjord/რიჟორდი, 1996).

კოგნიტური ლინგვისტიკის წყაროდ იქცა კოგნიტური ფსიქოლოგია. კოგნიტური ლინგვისტიკა კოგნიტური ფსიქოლოგიისაგან სესხულობს კონცეპტუალური და კოგნიტური მოდელების არსის ახსნის პრინციპებს. ეს კავშიორი ბუნებრივია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ:

1. ენის ფუნქციონირება ეყრდნობა ფსიქოლოგიურ მექანიზმებს;
2. ენა წარმოადგენს აკუმულირებული გამოცდილებისა და კატეგორიზირებული ცოდნის რეპრეზენტაციის მექანიზმს;

3. გამოცდილების საფუძველს წარმოადგენს აღქმა და მეხსიერება;
4. ენის კვლევა შუძლებელი პერცეპციული პროცესების გათვალისწინების გარეშე.
(Hunt & Agnoli/ჰანტი & აგნოლი, 1991).

მიხედვად იმისა, რომ ორი, მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სააზროვნო სივრცის კავშირი, ერთი შეხედვით, საეჭვოა, აღნიშნული დებულებები ამ კავშირს სრულად ბუნებრივ და ლოგიკურ ჩარჩოში აქცევს. ამ ჩარჩოდ განიხილება გეშტალთფსქოლოგია, რომელმაც ძლიერი გავლენა იქონია კოგნიტური ლინგვისტიკის ჩამოყალიბებაზე. (ლაკოფი, 1977).

ცნობილია, რომ ლინგვისტიკა თავისი განვითარების გზაზე რამდენჯერმე „შეხვდა“ ფსიქოლოგიას და ყოველი „შეხვედრა“ შეიძლება, განვიხილოთ „სესხებისა და სინთეზირების“ წარმატებულ შემთხვევად.

კოგნიტური ლინგვისტიკის კიდევ ერთ წაყროდ განიხილება ლინგვისტური სემანტიკა. ზოგი მკვლევარი კოგნიტურ ლინგვისტიკას მიიჩნევს „ღრმა სემანტიკად“, სხვა სიტყვებით, ზოგი მკვლევარი კოგნიტურ ლინგვისტიკას უწოდებს სემანტიკური იდეების ბუნებრივ განვითარებას. (Talmy/ტალმი, 2000). ამ თვალსაზრისი მომხრენი სემანტიკური კატეგორიების მიღმა ხედავენ უფრო ზოგად კატეგორიებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისი ვერ „წვდება“ ყველა სფეროში მიღებულ შედეგებს: შედეგი, რომელიც მიღებულია კოგნიტურ ლინგვისტიკაში, გამოიყენება არა მხოლოდ ენის სმენატიკასთან მიმართებაში; კოგნიტურ ლინგვისტიკაში დამუშავებული პროტოტიპები ასევე გამოიყენება ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, დიალექტიკაში და ა.შ. აღნიშნულ სააზროვნო სივრცეთა გარდა, კოგნიტური ლინგვისტიკის ჩამოყალიბებაში წავლილი შეიტანა ასევე:

1. ლინგვისტურმა ტიპოლოგიამ და ეთნოლოგიამ;
2. ნეიროლინგვისტიკამ, რომელიც ენას მოიაზრებს როგორც ადამიანის მენტალური საქმიანობის ინტეგრალად;
3. ფსიქოლონგვისტიკამ, რომელიც უკავშირდება ენის ფლობისა და გამოყენების მექანიზმებს უნივერსალური სტრატეგიების გამოყენებით;
4. კულტურილოგიამ, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კულტურის როლის განსაზღვრა კონცეპტების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესში.

კოგნიტური ლინგვისტიკის ჩამოყალიბების პროცესში შესაძლოა შემდეგი ეტაპების გამოყოფა:

კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარების ამ ეტაპზე იკვეთება შემდეგი პრობლემები:

1. ენობრივი ცოდნის ბუნების წვდომა;
2. ინტერპრეტაციის წესების იდენტიფიცირება;
3. ენობრივი ცოდნის ათვისებისა და გამოყენების თავისებურებათა გამოვლენა;
4. ცოდნის ტიპების დიფერენციაცია;
5. ენობრივ ნიშნებსა და კულტურულ რეალიებს შორის არსებულ მიმართებათა განსაზღვრა.

კოგნიტურ ლინგვისტიკაში ცენტრალური პრობლემის სახით ხშირად გვევლინება საკითხი, რომელიც უკავშირდება კოგნიტურ რგოლში გაერთიანებულ კომპონენტთა შორის არსებულ მიმართებათა თავისებურებას. აღნიშნულ კომპონენტებს წარმოადგენს გონება - ენა - რეპრეზენტაცია - კონცეპტუალიზაცია - კატეგორიზაცია - აღქმა.

(Győri/გიური, 2002).

ლინგვისტური თეორია არა მხოლოდ უნდა პასუხობდეს შეკითხვას „რა არის ენა“?

ლინგვისტური თეორია უნდა ხსნიდეს იმას, თუ რას აღწევს ადამიანი ენის მეშვეობით. ამ პერსპექტივიდან კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

(Dirven & Verspoor დირვენ/კოულსონი & ვერსპური, 1998).

1. ენის როლის განსაზღვრა სამყაროს შემეცნების პროცესში;
2. ენობრივი ცოდნის როლის განსაზღვრა სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების, დამუშავების და გადაცემის პროცესში;
3. ენობრივი კატეგორიზაციების და კონცეპტუალიზაციის მექანიზმთა დესკრიფცია;
4. კულტურის კონსტანტათა როლის განსაზღვრა ცოდნის კატეგორიზაციისა და კონცეპტუალიზაციის პროცესში;
5. კონცეპტთა სისტემების დესკრიფცია;
6. კონცეპტუალური სფეროს სტრუქტურაცია;
7. სამყაროს ენობრივი ხატის კონფიგურაციის განსაზღვრა.

კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემტიკის განზოგადებული ვერსია შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ენობრივი ერთეულებისა და კატეგორიების თავისებურებათა განსაზღვრა;
2. ენობრივი ერთეულებისა და კატეგორიების დაკავშირება მეხსიერებასთან, აღქმასა და აზროვნებასთან;
3. ენის კონცეპტუალური სფეროს „შენების“ სტრატეგიების ჩამოყალიბება.

კონცეპტის არსის წვდომა კოგნიტური ლინგვისტიკის არსის წვდომას გულისხმობს. ეს კი არც ისე იოლია! ამ მიმართულებით განხორციელებული ნებისმიერი მცდელობა „ეჯახება“ ტერმინოლოგიური მრავალფეროვნებისა და მსგავსთა კონტრასტირების სირთულეს. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში მკვლევართა მცდელობების რაოდენობა თითქმის უტოლდებოდა თვალსაზრისთა რაოდენობას.

ბოლო ათწლეუში ბევრი რამ შიცვალა - სიმკვეთრე შეიძინა კონცეპტის განმარტებამ. დაზუსტდა კონცეპტის სხვა ერთეულებისაგან დიფერენცირების კრიტერიუმებიც. შედეგად, მივიღეთ შემდეგი დებულებები: (Hampton/ჰემპტონი, 1997).

1. კონცეპტი არის შუამავალი სიტყვასა და ესქსტრალინგვისტურ რეალობას შორის;
2. სიტყვის მნიშვნელობა არ უტოლდება კონცეპტის მნიშვნელობას;
3. კონცეპტი გაცილებით ფართოა ვიდრე ლექსიკური მნიშვნელობა;
4. კონცეპტი არ არის დამოკიდებული ენაზე და არ არის შემთხვევითია ის, რომ მხოლოდ კონცეპტთა ნაწილი და არა განურჩევლად ყველა კონცეპტი, იძენს თავის ენობრივ ობიექტივიზაციას.

სახეზეა გარკვეული დაპირისპირება „კონცეპტუალურსა“ და „სემანტიკურს“ შორის. ამ დაპირისპირებას გააჩნია ლოგიკური საფუძველი: სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ჯგუფდება უნივერსალური კონცეპტებიც კი, სხვა სიტყვებით, უნივერსალური კონცეპტებიც კი სხვადასხვაგვარად ვერბალიზდება სხვადასხვა ენებში. ეს ფაქტი კი წარმოადგენს შემდეგი დებულების მანიფესტაცია: კონცეპტი მჭიდრო კავშირშია თავის ლინგვისტიკურ, გრამატიკულ და კულტუროლოგიურ ფაქტორებთან. (Johnson/ჯონსონი, 1992).

კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში სრულიად ბუნებრივად ჟღერს შემდეგი თვალსაზრისი: სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობა არის ვიწრო, არასაკმარისი, კოგნიტური რეალობისაგან დისტანცირებული და ზოგ შემთხვევაში კი - არაადეკვატური. (Houdé/ჰოდუდი, 2008).

2.3. კონცეპტის არსი

ადამიანის მთელი შემეცნებითი მოღვაწეობა უკავშირდება ობიექტების იდენტიფიცირებას, ანალოგიზაციასა და კონტრასტირებას. კოგნიცია შეიძლება, განვიხილოთ როგორც საყარსთან ადაპტაციის უნარი, სამყაროში ორიენტაციის უნარი.

მე-20 საუკუნის ბოლოს ლინგვისტიკმა აღიარეს, რომ კონრეტული ენის მატარებელი არის კონკრეტული კონცეპტუალური სისტემების მატარებელი. კონცეფტები არის მენტალურობის არსი. შესაბამისად, მე-20 საუკუნის ბოლოსვე წინა პლანზე წამოიწია კონცეპტის ფენომენმა.

ჯერ კიდევ დისკუსიურ საკითხთა წყებას განეკუთვნება კონცეპტის წარმოშობა, თუმცა დადგინდა, რომ კონცეპტის წარმოქმნის პროცესი, ზოგადი გაგებით, აზრის წარმოქმნის პროცესია.

აზროვნების პროცესში ადამიანი ოპერირებს კონცეფტებით, რომლებიც ასახავს ცოდნასა და გამოცდილებას, სამყაროს შემეცნების პროცესსა და კაცობრიობის მთელი შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგს. (Palmer/პალმერი, 1996).

დღეს ლინგვისტიკაში დომინირებს სამი მიდგომა კონცეპტის არსისადმი:

1. პირველი მიდგომის მიხედვით, კონცეპტის განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლინგვოკულტურულ ასპექტს. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში კონცეფტი განიხილება კულტურის ძირითად ნაწილად, როემლიც ფიქსირებულია ადამიანის მენტალურ სამყაროში. კონცეპტს უკავია უნიშვნელოვანესი ადგილი კოლექტიურ ენობრივი ცნობიერებაში. ტერმინის ამგვარი გაგებით ენის როლი მეორეხარისხოვანია; ენა არის მხოლოდ დამხმარე საშუალება, გამოხატვის ფორმა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კონცეპტის კულტურასთან. (მასლოვა, 2001).
2. მეორე მიდგომის ფარგლებში კონცეფტის არსის გახსნისათვის მიმართავენ ენობრივი ნიშნის სემანტიკას; სემანტიკა განიხილება კონცეპტის ფორმირების ერთადერთ გზად. (Coulson/კოულსონი, 2001).
3. მესამე მიდგომის მხარდამჭერნი მიიჩნევენ, რომ კონცეპტი გამომდინარეობს არა უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობიდან, არამედ წარმოადგენს ადამიანის ეროვნული გამოცდილებისა და სიტყვის მნიშვნელობის შერწყმის შედეგს. შესაბამისად, კონცეფტი არის შუამავალი სიტყვასა და რეალობას შორის.

ე.ს. კუბრიაკოვას მიხედვით, კონცეპტი არის მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, სამყაროს მთელი სურათის, მეხსიერების ერთეული, რომელიც ფიქსირებულია ადამიანის ფსიქიკაში. მკვლევარის აზრით, თუ ენა გამოხატავს სამყაროს განსაკუთრებულ ხედვას, მაშინ მასში ასახული დამკვირვებლის პოზიციებიც შეესაბამება „საერთო სუბიექტურობას“, რომელიც დაფიქსირებულია ენის კონცეპტში. არ შეიძლება, არ დავეთახნოთ ამ მოსაზრებას, რადგან ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება, აღწერილ იქნას

სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა ენობრივი საშუალებების გამოყენებით.

(Курякова/კუბრიაკოვა, 2001). სწორედ ამიტომ ხდება შესაძლებელი სხვადასხვა დეტალების, თვისებებისა და ნიშნების აღწერა.

ე.ს. კუბრიაკოვას აზრით, მნიშვნელობის განსაზღვრა კონცეპტუალური სტრუქტურების მეშვეობით წარმოადგენს ახალ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელობასა და ცოდნას შორის არსებული მიმართების ახსნას. (კუბრიაკოვა, 1995).

მკვლევარი გვთავაზებს კონცეპტის გააზრების ვერსიას, რომელიც ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

1. ყოველი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და ორგანიზების კონკრეტულ საშუალებას; მასში გამოხატული მნიშვნელობები ლაგდება შეხედულებების ერთიან სისტემაში, ერთგვარ კოლექტიურ ფილოსოფიაში;
2. ენისათვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის უნარი უნივერსალურია, ნაწილობრივ კი - ეროვნულობით დეტერმინირებული.

ბევრი მკვლევარი, რომელიც აღიქვამს კონცეპტს ფართო გაგებით, იზიარებს რ.

ჯეკენდორფის აზრს იმის შესახებ, რომ კონცეპტუალური სისტემის ძირითად შემადგენელს წარმოადგენს კონცეფტი, რომელიც ახლოს დგას სემანტიკურ ელემენტთან. (ჯეკენდორფი, 1993).

აღნიშნულ მიდგომათათვის საერთოა შემდეგი დებულებები:

1. ენასა და კულტურას შორის არსებობს აშკარა კავშირი;
2. აზრთა სხვადასხვაობა განპირობებულია იმითი, რომ ენის როლი გასხვავებულია სხვადასხვა კონცეპტის ფორმირებისას;
3. სამყაროს ობიექტი მხოლოდ მაშინ ხდება „კულტურული ობიექტი“, როცა მათ შესახებ წარმოდგენა სტრუქტურირდება ეთნოენობრივი აზროვნებით.

კონცეპტის არსის სრულად გახსნის მიზნით, შემოგთავაზებთ სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებებს:

1. კონცეპტი წარმოადგენს სამყაროს იდეალურ ობიექტს, რომელსაც აქვს სახელი და რომელიც ასახავს კულტურით განპირობებულ წარმოდგენას საყაროს შესახებ. (Wierzbicka/ვერჟბიცკა, 1984).
2. კონცეპტი არის “მნიშვნელობის ალგებრული გამოხატულება“, რომლითაც ადამიანი ოპერირებს მეტყველებაში;
3. კონცეპტი არის ვერბალიზებული აზრი, რომელიც აისახება კულტურის კატეგორიებში;

4. კონცეფტი არის ადამიანის აზროვნების პროდუქტი, რომელიც დამახასიათებელია ადამიანის ცნობიერებისათვის და რომელსაც გააჩნია ენობრივი გამოხატულება.
5. კონცეპტი არის ერთეული, რომელიც კი არ წამოიქმნება, არამედ „რეკონსტრუირდება“ თავის ენობრივ გამოხატულებასა და არაენობრივ ცოდნაში. (ჯეკენდოფი, 1991).
6. კონცეპტი არის ტერმინი, რომელიც ემსახურება ჩვენი ცნობიერების მენტალური ერთეულებისა და ფსიქიკური რესურსების ახსნას, იმ ინფრომაციული სტრუქტურების გააზრებას, რომელიც ასახავს ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებას;
7. კონცეპტი წარმოადგენს მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემისა და ენის, სამყაროს ხატის ერთეულს, რომელიც ასახულია ადამიანის ფსიქიკაში; (ლანგაკერი, 1967).
8. კონცეპტი არის კულტურულად მარკირებული ვერბალიზებული აზრი, რომელიც წარმოდგენილია მთელი რიგი ენობრივი გამოხატულებებით და რომელიც წარმოქმნის შესაბამის ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმას; (Marc/მარკი, 1992). კონცეპტი არის კოლექტიური ცოდნის ერთეული, რომელსაც გააჩნია ენობრივი გამოხატულება და აღბეჭდილია ეთნოკულტურული სპეციფიკით.

კონცეპტის განმარტებათა ანალიზი იძლევა კონცეპტში ინვარიანტული ნიშნების იდენტიფიცირების საშუალებას. მაშ ასე, კონცეპტი არის:

1. ადამიანის გამოცდილების მინიმალური ერთეული, რომელიც ვერბალიზდება სიტყვის მეშვეობით და რომელიც ხასიათდება სტრუქტურული თავისებურებით;
2. ცოდნის დამუშავების, შენახვის და გადაცემის ძირითადი ერთეული;
3. ერთეული, რომელსაც გააჩნია მოძრავი საზღვრები და კონკრეტული ფუნქციები;
4. სოციალური მოვლენაა და მისი ასოციაციური ველი განსაზღვრავს მის სტრუქტურას;
5. კულტურით დეტერმინირებული ერთეული.

ერთიანი განსაზღვრების ჩამოყალიბების სირთულე განპირობებულია შემდეგი ფაქტით: კონცეპტს აქვს რთული, მრავალგანზომილებიანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ კონცეპტუალურ, არამედ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ პლასტებსაც. კონცეპტი მოიცავს ასოციაციებს, ემოციებს, შეფასებებს, ნაციონალურ

ნიშნებს და კონოტაციებს, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული კულტურისათვის. (Smith & Medin/ სმიტი & მედინი, 1981).

და მაინც, თანამედროვე ლინგვისტიკაში მაინც გაჩნდა განმარტება, რომელსაც აქვს პრეტენზია სისრულესა და ლოგიკურობაზე. ეს განმარტება შემდეგნაირად ჟღერს: კონცეპტი არის ლინგვო-კულტურული სპეციფიკით აღბეჭდილი ერთეული, რომელიც ასახავს ეთნიკურ მსოფლმხედველობას, სამყაროს კულტურული და ენობრივი ხატების თავისებურებას. ამასთანავე, კონცეპტი წარმოადგენს ცოდნის ერთგვარ ბირთვს, რომელიც ასახავს მთელი კაცობრიობის მოღვაწეობას. კონცეპტი შეიძლება განვიხილოთ როგორც შედეგი, რომელიც დადგა სიტყვის ლექსიკონური მნიშვნელობისა და ადამიანის გამოცდილების „შეჯახებისას“.

აღნიშნულ განმარტებათა კონდესირების შედეგად შესაძლოა, ჩამოვყალიბოთ განმარტების ვერსია, რომელიც ამგვარად ჟღერს: კონცეპტი წარმოადგენს სამყაროს ხატის ელემენტს. (Hatfield/ჰეტფილდი, 1997).

კონცეპტი ადამიანის ცნობიერებაში წარმოიქმნება ქმედების, სამყაროს შეცნობის, სოციალიზაციის შედეგად. ნებისმიერი კონცეპტი თავისთავში აერთიანებს ზოგადი მნიშვნელობის მრავალ ფორმას, რომელიც გამოხატულია ბუნებრივ ენაში, ასევე ადამიანის ცხოვრების იმ სფეროებში, რომლებიც დეტერმინირებულია ერთ მიერ და წარმოუდგენელია მის გარეშე. კონცეპტი წარმოიქმნება გონებაში, როგორც ენობრივი გამოცდილების „გამოძახილი“.

კონცეპტი, როგორც აზრის ინტერპრეტატორი, მუდმივად განიცდის მოდიფიკაციას. დროთა განმავლობაში კონცეპტები ექცევიან ერთმანეთის ზეგავლენის ქვეშ და იცვლებიან. სხვადასხვა სიტუაციაში კონცეპტის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა იწვევს კონცეპტთა რაოდენობის მუდმივ ცვლილებას. რადგანაც ადამიანები მუდმივად იმეცნებენ სიახლეს და რადგანაც სამყარო მუდმივად იცვლება, ადამიანი იძულებულია, შეეგუოს სიახლეს. სწორედ ამიტომ უნდა იყოს ცოდნის გადაცემის და შენახვის ძირითადი ერთეული მოქნილი და მოძრავი. (Heit/ჰეითი, 1997).

კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს კონცეპტუალური სისტემის „შენებისათვის“ ვალიდური კონცეპტები. ეს ის კონცეპტებია, რომლებიც თავად ქმნიან კონცეპტუალურ სივრცეს და გვევლინებიან ამ სივრცის მთავარი კატეგორიად. ამ ტიპის კონცეპტებს მიეკუთვნება: დრო, სივრცე, რიცხვი, ცხოვრება, სიკვდილი, თავისუფლება, სიმართლე, ცოდნა და ა.შ.

თავი III. მიდგომათა სინთეზირებისა და მნიშვნელობათა დიფერენცირების პრობლემა

3.1. ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მიდგომები, ენობრივი და კონცეპტუალური მნიშვნელობები.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ „სამყაროს ხატის“ ცნება აქტიურად გამოიყენება ისეთი მეცნიერებების წარმომადგენელთა მიერ, როგორცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, კულტუროლოგია, გნოსეოლოგია, კოგნიტოლოგია, ლინგვისტიკა, აღნიშნული ცნება დღემდე, უწინდებურად, რჩება მეტაფორად, რომელიც ხშირად მოკლებულია ზუსტ და ერთმნიშვნელოვან განმარტებას ერთი კონკრეტული მეცნიერების ფარგლებშიც კი.

(Corson/კორსონი, 1995).

ბუნებრივია, ჩვენი კომპეტენცია და, შესაბამისად, ინტერესიც ვრცელდება მხოლოდ ლინგვისტიკაზე. აღნიშნულ სააზროვნო სივრცეში კი, ჩვენი აზრით, სამყაროს ხატთან დაკავშირებული პრობლემის არსებობის ძირითად მიზეზს წამოადაგენს სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების ტექნიკის არასათანადო დეტალიზაცია.

აშკარაა, რომ სამყაროს ხატში ძირითადი კომპონენტების - მსოფლმხედველობის, მსოფლალქმისა და მსოფლგანცდის - იდენტიფიცირებით, ჯერაც არ გამქრალა სამყაროს ხატის ამორფულობის განცდა. (Erickson & Murphy/ერიქსონი & მერფი, 2003).

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ აღნიშნულ კომპონენტთა მნიშვნელოვნებას და ვაღიარებთ შემდეგ დეფინიციათა ჭეშმარიტებას:

1. მსოფლმხედვა კონცეპტუალური კომპონენტია, რომელიც წარმოადგენილია სივრცის, დროის, მოძრაობისა და ა.შ. ზოგადი კატეგორიებით. სამყაროს ხატის, როგორც კონსტრუქტის, ძირითადი, მაშტაბური ელემენტები წარმოადგენს ფუძემდებლური პრინციპებისა და სამყაროს შესახებ არსებული წარმოდგენების კრებულს, რომელიც რელევანტურია კონკრეტული სიტუაციისათვის. აღნიშნული პრინციპები და წარმოდგენები, შესაძლოა, არ იყოს გაცნობიერებული ადამიანის მიერ, თუმცა ისინი „ჩაშენებულია“ სამყაროს ხატში და გამოიყენება კონკრეტული სიტუაციის ინტერპრეტაციისათვის - სიტუაციის აღქმისა და შეფასებისათვის. ისეთი ფუძემდებლური პრინციპები და წარმოდგენები, როგორცაა: მოძრაობა, მიზეზ-შედეგობრიობა, მიზანდასახულობა, მსგავსება, ეკვივალენტურობა, დრო და სივრცე, შესაძლოა, ეფუძნებოდეს ადამიანის თანდაყოლილ თვისებებს. ისეთი კატეგორიები, როგორცაა: სიკეთე და ბოროტება, დამოკიდებულება სიცოცხლესა და სიკვდილის, საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ, ყალიბდება განვითარების პროცესში; (Omazic/ომაზიკი, 2005).

2. მსოფლგანცდა წარმოადგენს აზროვნების განსაკუთრებულ სტილს - კატეგორიათა და ცნებათა შორის არსებულ მიმართებათა ინდივიდუალურ სისტემას. საზოგადოების განვითარების სტადიათა ცვლა, ჩვეულებრივ, იწვევს სამყაროს ხატის ტრანსფორმაციას - სამყაროს ფენომენის ახსნის ახალ ეტალონთა დამკვიდრებას; (Verspoor/ვერსპური, 1998).
3. ახალი მსოფლმხედველობა აყალიბებს ახალი ტიპის მსოფლადქმასა და მსოფლგანცდას, რაც, საბოლოო ჯამში, ხდება სამყაროს ახალი ხატის შექმნის საკმარისი პირობა. პროგრესი - ადამიანისა და კაცობრიობის განვითარება - წარმოადგენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ სამყაროს ხატთა ცვლილების, ძველის ახლით ჩანაცვლების პროცესს. (Hayward/ჰეივორდი, 1997).

უნდა ვთქვათ ისიც, რომ სხვა მეცნიერთა კვალდაკვალ, ჩვენც ვაღიარებთ სამყაროს ხატის შემდეგ მარკერთა ვალიდურობას:

1. სამყაროს ხატი სრულად განაპირობებს მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებას; (Fedoseyev/ფედოსიევი, 1978).
2. წარმოადგენს იმ აღქმის საფუძველს, რომელსაც ადამიანი ეყრდნობა სამყაროში ორიენტირებისას;
3. არის ისტორიულად განპირობებული, რაც, თავისმხრივ, გულისხმობს სამყაროს ხატისა და მის სუბიექტთა მუდმივ ცვლილებას;
4. სწორედ სამყაროს ხატიდან მომდინარეობს ღირებულებები, იერარქიისა და სააზროვნო პარადიგმათა ტიპები, ადამიანის ქმედებათა არბიტრალურობა. (Hymes/ჰიმესი, 1974).

სრულად ვეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებსაც:

1. ადამიანი გამოსახავს სამყაროს როგორც სურათს (ხატს);
2. ადამიანი აცნობიერებს სამყაროს როგორც სურათს (ხატს);
3. სამყარო გარდაისახება სურათად (ხატად);
4. იპყრობს რა სამყაროს, ადამიანი იპყრობს სურათს (ხატს).

და ბოლოს, ასევე ვიზიარებთ, რომ:

1. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა სამყაროზე დამკვირვებელ და სამყაროსთან კონტაქტში მყოფ ადამიანთა რაოდენობას;
2. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა ადამიანთა მსოფლმხედვის პრიზმათა რაოდენობას;

3. სამყაროს ხატთა რაოდენობა ემთხვევა იმ სამყაროთა რაოდენობას, რომელსაც აკვირდება ადამიანი.

ამკარაა, რომ ვერც აღნიშნულ თვალსაზრისთა ჭეშმარიტება და ვერც შემოთავაზებულ დეფინიციათა ვალიდურობა ვერ აქრობს ფენომენის ხელშეუხებლობის განცდას, შესაბამისად კი, ვერ უზრუნველყოფს სამყაროს ხატის ადეკვატური მოდელირების პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას.

სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების პრობლემის ანალიზი ფართო შესაძლებლობებს შლის როგორც ნიშანთა ცალკეულ სისტემათა იერარქიის, ისე ცალკეული კულტურების სოციალური და ისტორიული ფესვების წვდომის თვალსაზრისით. ენა სიმბოლურად ასახავს ნაციონალური და ინდივიდუალური მენტალიტეტის გაუცნობიერებელ ინტენციებს. ამდენად, სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების შესაძლებლობათა ანალიზი კვლევის არეალში აქცევს ცნობიერებისა და კულტურის იმ კონტექსტებსაც, რომელშიც ნიშანთა ესა თუ ის სისტემა ჩამოყალიბდა და განვითარდა.

მოდით, შევითხვების სახით ჩამოვყალიბოთ კვლევის პროცესში დაფიქსირებული პრობლემები:

1. რა ტიპის მეთოდოლოგია „გაწვდება“ იმ მასალის სისტემატიზაციას, რომლითაც უნდა აიგოს სამყაროს ენისმიერი ხატი?
2. რა ტიპის ერთეულია მაქსიმალურად ეფექტური სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირებისათვის?

ის ფაქტი, რომ საქმე გვექნებოდა რთული სისტემის აგების პრობლემასთან, ნათელი იყო კვლევის საწყის ეტაპზე. პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობის თვალსაზრისით შევამოწმეთ ლინგვისტურ კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგიის სახობათა ძირითადი ტიპები და აღმოვაჩინეთ საკმაოდ არასახარბიელო მეცნიერული სიტუაცია:

1. მეთოდოლოგიის ინტერდისციპლინარულობა და ექსპანსიურობა დეკლარირებულია, თუმცა არარეალიზებული;
2. დეკლარირებულია, თუმცა არარეალიზებული რთული სისტემების კონსტრუირებისათვის საჭირო მეთოდოლოგიის ძიების აუცილებლობა სისტემოლოგიაში.

იმდენად, რამდენადაც მიზანს წარმოადგენდა არა რთული და იმავდროულად, ადეკვატური სისტემის აგების შეუძლებლობის დამტკიცება, არამედ რთული და იმავდროულად, ადეკვატური სისტემის აგება, მოგვიწია, მიგვემართა

სისტემოლოგიისათვის. აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ სააზროვნო სივრცეში იკვეთებოდა ჩვენი კვლევის განხორციელებადობის მოდუსი. და მაინც, ეს არ იყო მარტივი გზა - დაგვიჩინდა რთული სისტემების დაპროექტებისადმი არსებულ მიდგომათა ინტეგრაცია. არჩევანი შევაჩერეთ სტრუქტურულ და ობიექტურ მიდგომათა ინტეგრირებულ ფორმაზე, რომელსაც პირობითად ვუწოდეთ ობიექტურ-სტრუქტურული მიდგომა.

დღეს, როცა სისტემა აგებულია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო გონივრული არჩევანი, რომელმაც უზრუნველყო ისეთი შესაძლებლობები, როგორიცაა:

1. დეკომპოზიციის იდეაზე დაფუძნებული ანალიზი, რომლის ფარგლებშიც თითოეული ობიექტი განიხილება როგორც განსაზღვრული კლასის ეგზემპლარი;
2. ტიპიზაციაზე დაფუძნებულ ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს ცნებების კლასში ქვეკლასების გამოყოფას თვისებების ნაწილობრივი მემკვიდრეობითობით.

აღნიშნული მეთოდოლოგია, სწორედ თავისი ექსპანსიულობისა და ინტეგრაციულობის წყალობით, კი არ ამცირებს, პირიქით, გაცილებით მკაფიოს ხდის ფენომენის როგორც წმინდა ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ანალიზის მეთოდების ღირებულებას. მინდა, შემოგთავაზოთ მოკლე ექსკურსი წარსულში, რომელიც წარმოადგენდა შეკითხვებზე პასუხის გაცემის ზოგჯერ წარმატებულ, ზოგჯერ კი წარუმატებელ ცდას. კვლევის პროცესში ხან ფართოვდებოდა, ხან კი ვიწროვდებოდა შეკითხვათა რაოდენობა, იცლებოდა შეკითხვათა ტიპებიც.

დღეს შემოგთავაზებთ შეკითხვათა უკვე გაცხრილულ ნუსხას და პასუხებს, რომელთა ობიექტურობაც კვლევის პროცესში დადასტურდა.

მაშ ასე, კითხვები და პასუხები:

1. არის თუ არა საკმარისი სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე, სიტყვის დენოტატური, სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობების დაზუსტებაზე ორიენტირებული ანალიზი კანონზომიერებათა ჩამოყალიბებისათვის? - ბუნებრივია, რომ - არა, ვინაიდან ამ ტიპის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ კონცეპტთა ძიებას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას. ერთი შეხედვით, კონცეპტუალური ანალიზი სემანტიკურ ანალიზს ჰგავს, თუმცა სემანტიკური ანალიზის მიზანი სიტყვის ახსნაა, კონცეპტუალური ანალიზისა კი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის თავისებურების წარმოდგენა.

2. რა ტიპის ერთეულია კონცეპტი? - კონცეპტი წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების გლობალურ ერთეულს. იგი არის, იდეა, რომელიც ხასიათდება აბსტრაქტული, კონკრეტულ-ასოციაციური და ემოციურ-შეფასებითი მარკერებით.
3. რა ტიპის გაერთიანებას ქმნის კონცეპტთა გარკვეული რაოდენობა? - კონცეპტთა რაოდენობა ქმნის კონცეპტუალურ სფეროს, რომელიც წარმოადგენს კონცეპტების მოწესრიგებულ ერთობლიობას. ეს ერთობლიობა კი გვესმის როგორც კონკრეტული ერის ყველა კონცეპტთა პოტენციების ჯამი.
4. როგორ უნდა განხორციელდეს კონცეპტის, როგორც მენტალური ერთეულის, არსის წვდომა? - ანალიზმა ცხადყო, რომ ეს შესაძლებელია ენაში კონცეპტის ობიექტივიზაციის საშუალებათა ანალიზის გზით.
5. რა ტიპის ერთეული წარმოადგენს იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია (ვერბალიზაცია, რეპრეზენტაცია) საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპზე? - კვლევამ დაადასტურა, რომ ამ ტიპის ერთეულს წარმოადგენს კონცეპტის ნომინაციური ველი.
6. რა ტიპის მიმართება ფიქსირდება კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკურ სივრცეს შორის? - კონცეპტუალური სფერო წმინდა აზროვნების სფეროა. იგი შედგება კონცეპტებისაგან, რომელიც არსებობს აზრობრივი ხატების, სქემების, ცნებების, ფრეიმების, სცენარების სახით. ენის სემანტიკური სივრცე წარმოადგენს კონცეპტუალური სფეროს ნაწილს, რომელმაც მიიღო გამოხატულება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით.
7. რა ტიპის მიმართება მყარდება კონცეპტსა და მნიშვნელობას შორის? - მნიშვნელობასა და კონცეპტს შორის არსებობს მსგავსებაც (ორივე ასახვას სინამდვილეს) და განსხვავებაც (კონცეპტი ადამიანის კოგნიტური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი - ენობრივი ცნობიერების).
8. რა მიმართებაში იმყოფება მნიშვნელობა კონცეპტთან? - ანალიზმა ცხადყო, რომ ეს გახლავთ მთლიანისა და ნაწილის მიმართება: მნიშვნელობა წარმოადგენს კონცეპტის ნაწილს. ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები გამოხატავენ ნიშანთა კონცეპტუალურ თვისებებს, მაგრამ არასრულად. კონცეპტი უფრო ფართოა ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა და კონცეპტი ერთმანეთთან იმყოფებიან კომუნიკაციურად რელევანტური ნაწილისა და მენტალური მთლიანობის მიმართებაში.

9. რა მარკერებია დიფერენციალური ლექსემისა და კონცეპტისათვის? - ლექსემა ხასიათდება სემანტიკით, კონცეპტი კი - შინაარსით. ლექსემათა სემანტიკა იყოფა სემანტიკურ კომპონენტებად, კონცეპტის შინაარსი კი - კონცეპტუალურ ნიშნებად. ანალიზი, რომელიც მიმართულია „სიტყვის სემანტიკიდან კონცეპტის შინაარსისაკენ“ იძლევა კონცეპტუალური ნიშნების გამოკვეთის შესაძლებლობას. სიტყვის გამოყენების შესაძლო კონტექსტებში აქტუალიზირებულ სემათა ანალიზის შედეგად გამოვლენილი ნიშნები ქმნიან კონცეპტის შინაარსს.

პრინციპში, თუ ცხრა კითხვას გავაერთიანებთ, მივიღებთ ერთს, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: როგორ იკვლევს ლინგვისტიკა ცნობიერებას ენის მასალაზე დაყრდნობით?

დამეთანხმებით, რომ ეს კითხვა მეტისმეტად ჯენარალისტურია. თუ შევეცდებით მის კონკრეტიზირებას, მივიღებთ შემდეგი ტიპის კითხვას: როგორ უნდა ვიკვლიოთ ენობრივ ფორმასა და მის მენტალურ რეპრეზენტაციას შორის არსებული მიმართება?

სწორედ ამ კითხვაზე პასუხი წარმოადგენს იმ ძალისხმევის შედეგს, რასაც ნაშრომის მეცნიერული ღირებულება ეწოდება. ეს პასუხი ფიგურალურად, შესაძლოა, ასეც

ჩამოვაცალიბოთ: Great ship asks deep waters (დიდ გემს ღრმა წყალი სჭირდება). ჩვენი

კვლევის ფარგლებში სიდიდე გულისხმობს საკვლევი ფენომენის

მრავალგანზომილებიანობას. ფრაზის დემეტაფორიზაციის შედეგი კი ასე გამოიყურება:

1. განზომილებას სივრცე სჭირდება;
2. ყველა განზომილებას „თავისი განსაკუთრებული სივრცე“ სჭირდება;
3. ბევრ განზომილებას დიდი სივრცე სჭირდება;
4. ერთმანეთისაგან განსხვავებული სივრცეები ქმნიან ჰეტროგენულ სივრცეს, რომელიც შედგება იერარქიზირებული სეგმენტებისაგან;
5. ჰეტროგენული სივრცე გრადუალურია - აქვს სიღრმე;
6. სიღრმის კვლევა არ არის საკმარისი ზედაპირის კვლევისათვის საკმარისი მეთოდებით;
7. სწორედ ამ სიღრმის კვლევას უზრუნველყოფს სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა ინტეგრაცია სამყაროს ენისმიერი ხატის მოდელირების პრობლემის გადასაჭრელად.

კვლევის პროცესმა ცხადყო, რომ ენობრივ და კონცეპტუალურ მნიშვნელობათა დიფერენცირების პრობლემა, პირველ რიგში, აიხსნება იმით, რომ მათი ანალიზისას საქმე გვაქვს შინაარსობრივი თვალსაზრისის/მიმართულების არსთან, და არა მკვლევართა მონაცემებით უშუალოდ ათვისებასთან.

როგორც წმინდა ლინგვისტური ფენომენი, მნიშვნელობა იღებს განმარტებების უჩვეულოდ სხვადასხვაგვარ დიაპაზონს, რაც ძალზედ ართულებს მიმართებათა სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრას შეპირისპირებადი მოვლენებით, კონცეპტის ჩათვლით.

ვიდრე, წარმოგიდგენდეთ ნაშრომის პრაქტიკული ნაწილის ფრაგმენტს, გვინდა მოკლედ ჩამოვაცალიხოთ ის დებულებები, რომელთაც ეფუძნება ჩვენი კვლევა:

1. მნიშვნელობაში მოიაზრება არა მხოლოდ ექსპლიციტური, არამედ იმპლიციტურიც, რაც ხშირად რჩება ლექსიკონური დეფინიციის მიღმა;
2. ცოდნის მნიშვნელოვანი წილი ინახება ცნობიერებაში როგორც სხვადასხვა ხარისხის აბსტრაქციის აზრობრივი სტრუქტურები - ფრეიმები, სკრიპტები, გემტალტები, კონცეპტები;
3. კონცეპტი გვესმის როგორც აზროვნების რთული ორგანიზების სტრუქტურა, როგორც მოცემული სიტყვის მრავალი შესაძლო მნიშვნელობის ერთობლიობა. კონცეპტი ენის მატარებელთა არქეტიპული და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების, კულტურის, რწმენის საცავია, გატარებული ენობრივი პიროვნების ფილტრში. მაშასადამე, კონცეპტი მრავალგანზომილებიანი იდეალიზირებული წარმონაქმნია, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ ელემენტებს;
4. შესაბამისად, კონცეპტი წარმოადგენს სტრუქტურული ცოდნის „კვანტს“, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის „ნაერთს“.

და ბოლოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი კვლევისათვის ფუძემდებელი პრინციპების არსის განსაზღვრა.

კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ერთეულთა ორგანიზება ნაშრომში განხორციელებულია შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით:

1. მთელი შედგება არა ცალკეული, დამოუკიდებელი ნაწილებისაგან, არამედ პირიქით, მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულობა ცალკეული სიტყვისაგან მომდინარეობს მთელის აგებულების კანონზომიერებიდან;
2. ყოველი ელემენტი, როგორც ღირებულებათა სისტემის წევრი, განისაზღვრება სხვა ელემენტებით. ეს ნიშნავს, რომ სისტემა განსაზღვრავს მის ელემენტებს და პირიქით;
3. ენობრივ მნიშვნელობათა მთლიანობრივი პრინციპი და მისგან გამომდინარე შინაარსობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის თვალსაზრისი იძლევა ენობრივ მნიშვნელობათა სწორედ შინაარსეულად კვლევის

საშუალებას, მითუმეტეს, რომ ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს თავად ენიდან, რომლის შინაარსეული სფეროც ველის კანონით მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული;

4. ენობრივი ველი აგებულია როგორც ორგანულ დანაწევრებაში მყოფი ერთად მოქმედი ენობრივი ნიშნების მთლიანობა;
5. ენობრივ ველებს არსებობის საკუთარი კანონი აქვთ - მთელისაგან ორგანული გამოყოფადობის კანონი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ერთმანეთს ორგანული მთელის წევრები თავიანთი ადგილის გათვალისწინებით;
6. ენობრივი ველების რეპერტუარი იმყოფება თანდათანობით დარღვევად და აღდგენადი წონასწორობის მდგომარეობაში. აქ საქმე გვაქვს წონასწორობის იმ მოდელთან, რომლის ყველა ელემენტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ზემოქმედებენ ერთმანეთზე. ცვლილებას მოძრაობაში მოჰყავს მთელი სისტემა. სისტემა მუდმივ მოძრაობაშია და ეს მოძრაობა “დინამიკურ წონასწორობას” უზრუნველყოფს. (ჯეკენდოფი, 1992).

3.2. ველის სემანტიკის პრინციპები და ველთა კვეთის პრობლემა

კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ერთეულთა ორგანიზება ნაშრომში განხორციელებულია შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით:

1. მთელი შედგება არა ცალკეული, დამოუკიდებელი ნაწილებისაგან, არამედ პირიქით, მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულობა ცალკეული სიტყვისაგან გამომდინარეობს მთელის აგებულების კანონზომიერებიდან;
2. ყოველი ელემენტი, როგორც ღირებულებათა სისტემის წევრი, განისაზღვრება სხვა ელემენტებით. ეს ნიშნავს, რომ სისტემა განსაზღვრავს მის ელემენტებს და პირიქით;
3. ენობრივ მნიშვნელობათა მთლიანობრივი პრინციპი და მისგან გამომდინარე შინაარსობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის თვალსაზრისი იძლევა ენობრივ მნიშვნელობათა სწორედ შინაარსეულად კვლევის საშუალებას, მითუმეტეს, რომ ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს თავად ენიდან, რომლის შინაარსეული სფეროც ველის კანონით მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული;

4. ენობრივი ველი აგებულია როგორც ორგანულ დანაწევრებაში მყოფი ერთად მოქმედი ენობრივი ნიშნების მთლიანობა;
5. ენობრივ ველებს არსებობის საკუთარი კანონი აქვთ - მთელისაგან ორგანული გამოყოფადობის კანონი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ერთმანეთს ორგანული მთელის წევრები თავიანთი ადგილის გათვალისწინებით.

„დროის“ კონცეპტის სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ:

1. კატეგორიზაციის პრინციპით კონსტრუირებული „დროის“ სემანტიკური ფრეიმი ქმნის ქვეფრეიმთა, ფრეიმებისა და ქვეფრეიმების ლექსიკალიზაციის საშუალების - ნომინაციურ ველთა - იერარქიულ ქსელს, რომელიც წარმოადგენს ჰიპონიმის პრინციპით მოწესრიგებულ, ერთმანეთთან სუბორდინაციულ მიმართებაში მყოფ ერთეულთა სივრცეს;
2. სემანტიკურ ფრეიმთა სივრცის კონტექსტში სუბორდინაციულ მიმართებას განვმარტავთ როგორც ექსტენსიონალისა და ინტენსიონალის მიმართებაში მყოფ ერთეულთა მიმართებას, რომლის მანიფესტაციასაც წარმოადგენს სემანტიკურ ფრეიმთა სივრცის სტრუქტურული არაერთგვაროვნება, კერძოდ კი, სემანტიკურ ფრეიმთა სივრცეში ერთმანეთის მიმართ დომინანტურ სეგმენტთა - ბირთვის, ახლო და შორეული პერიფერიების - არსებობას;
3. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ „დროის“ სემანტიკურ ფრეიმთა ლექსიკალიზაცია ხდება სიბრტყისებური (ზედაპირული) ერთფენოვანი სტრუქტურის მქონე ნომინაციური ველების მეშვეობით;
4. სიბრტყისებური (ზედაპირული) ერთფენოვანი სტრუქტურის სეგმენტაცია ხდება ერთი თვალსაზრისის, კონკრეტულ შემთხვევაში კი, „დროის“ სემის არსებობა/არარსებობა ლექსიკურ-სემანტიკური ველის ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში;
5. სიბრტყისებური (ზედაპირული) ერთფენოვანი სტრუქტურის მანიფესტაციას წარმოადგენს სტრუქტურის არა გრადუალურობა, რომელსაც შემდეგნაირად განვმარტავთ: არაგრადუალურია შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულის სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება ველის სიტყვა-იდენტიფიკატორის მიერ დასახელებული შინაარსის შენარჩუნების იდენტური უნარის მქონე ძალთა არსებობით;

6. შინაარსის შენარჩუნების იდენტური უნარის მქონე ძალებში ვგულისხმობთ შინაარსეული განსაზღვრულობის მქონე ერთეულის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ერთეულში შემავალ ყველა ელემენტს შორის ერთი და იმავე სიმძლავრის კავშირის ფორმის - ერთეულის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ერთეულში შემავალ ყველა ელემენტს შორის ერთი და იმავე „სემანტიკური „მანძილის“ - არსებობის ფაქტს, რაც შინაარსეული განსაზღვრულობის მქონე ერთეულის აგებულების არაგრადუალურობაში ვლინდება;
7. შინაარსეული განსაზღვრულობის მქონე ერთეულში შემავალ ელემენტთა შორის არსებული ინტენსიურობის მხრივ ერთგვაროვანი სემანტიკური მიმართებები ერთეულის სიტყვა-იდენტიფიკატორთან მიმართებაში მისი შინაარსის შემანარჩუნებელ ერთ ძალაში უნიფიცირდებიან.

ნებისმიერი ორი ველი დაკავშირებულია ერთმანეთთან - ველებს შორის ფიქსირდება ატრაქცია. მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ველები არ არის ჩაკეტილი, მათი საზღვრები არ არის მკაფიო. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ გარე ენობრივი სამყაროს მსგავსად, ენის სემანტიკური სივრცეც უწყვეტია. ველები კვეთენ ერთმანეთს, გრძელდებიან ერთმანეთში, მაგალითად, „სიკვდილის“ აღმნიშვნელ ელემენტთა ველში შედის ყველა ის ელემენტიც, რომლის სემანტიკურ სტრუქტურაშიც ფიქსირდება „სიკვდილის“ სემა, თუმცა აღმოჩნდა, რომ „სიკვდილის“ სემა ფიქსირდება „სიცოცხლის“ აღმნიშვნელ ველშიც. „სიკვდილის“ აღმნიშვნელ ელემენტთა ფრაზეოლოგიური ველის კონფიგურაციას ქმნის შემდეგი ელემენტები: „meet one's death“, „pass away“, „breathe one's last“ და ა.შ. ეს გახლავთ ის ელემენტები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის ბირთვულ სემას წარმოადგენს „სიკვდილი, როგორც დამდგარი ფაქტი“. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ველის შემადგენლობა მრავალფეროვანია როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში, მაგალითად: სულის განტევა; სულის უფლისათვის მიბარება; სულის ამოძრომა; სულის აღმოხდომა; გარდაცვალება; ცხოვრების დატოვება; გაღმა გასვლა; მარილზე გასვლა; ბავშვების დაობლება; შავები ჩააცვა ცოლ-შვილს. აღნიშნული ერთეულების ერთი ჯგუფის სემანტიკური სტრუქტურის ბირთვს ქმნის სული ან სულის სახეცვლილება, რაც ქრისტიანული რელიგიის გავლენის დასტურია ენასა და ცნობიერებაზე - იგულისხმება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორცაა: სულის განტევა; სულის უფლისათვის მიბარება; გარდაცვალება და ა.შ.

გარდა აღნიშნული ელემენტებისა, „სიკვდილის“ აღმნიშვნელ ელემენტთა ფრაზეოლოგიური ველის კონფიგურაციას ქმნის ისეთი ელემენტებიც, როგორცაა: „one's

days are numbered“, „on one’s last legs“, „not long for this world“, „be on the verge of death“ და ა.შ. ეს გახლავთ ის ელემენტები, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის ბირთვულ სემას წარმოადგენს „სიკვდილის მოახლოება“. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ველის შემადგენლობა მრავალფეროვანია როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში, მაგალითად: უკანასკნელ დღეშია; ფეხზე ბატკანი ჰყავს გამობმული; სიკვდილის ბუზი დააჯდა; ესტუმრა მიქელ-გაბრიელი; სასიკვდილო სარეცელზეა, მისი დრო დათვლილია; მისი დღეები დათვლილია - Breathe one’s last; At death’s door; One’s number is up; Dead man walking და ა. შ.

ფაქტია, რომ ადამიანის მდგომარეობა, „რომლის დღეებიც დათვლილია“, შეიძლება, იყოს:

1. ადამიანი, რომლის გამოჯანმრთელების ალბათობა ნულის ტოლია;
2. ადამიანი, რომლიც სრულიად ჯანმრთელია, მაგრამ, ვიღაც აპირებს მის მოკვლას.

დასკვნა შემდეგია: ეს ადამიანი ცოცხლია და არა - მკვდარი. ამ დასკვნის მიღმა იკვეთება საკმაოდ სერიოზული პრობლემა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რაიმე წესით მოცემული სამყარო სიტყვიერებაში, ანუ ენაში ყოველთვის აისახება. ამასთან, ენა მართლ აისახვის კი არა, სამყაროს წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი მატარებელი და ახალი მიმართებების ფორმირების საშუალებაცაა. მაგრამ ზოგჯერ ველების ფორმირება ვერ უზრუნველყოფს ადამიანური სამყაროს ადეკვატურ და დეტალურ სტრუქტურირებას. სწორედ აქ ჩნდება ენობრივ ველთა გარკვეულ „ჩარჩოში“ მოთავსების აუცილებლობა. ეს ჩარჩო უნდა იყოს ის „ზოგადი“, რომლის ფარგლებშიც რელევანტური იქნება „სიკვდილისა“ და „სიცოცხლის დასასრულის“ სემებით გაერთიანებულ ელემენტთა თანარსებობა. ასეთი „ჩარჩოს“ ფუნქციის შესრულება შეუძლია ფრეიმს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ფრეიმისა და მისი ნომინაციური ველების კონსტრუირება სამყაროს ენისმიერი ხატის ადეკვატური მოდელირებისათვის აუცილებელ და საკმარის პირობას.

და ბოლოს, ვუპასუხებთ რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას:

1. „რა ტიპის ერთეულის კონსტრუირება უზრუნველყოფს სამყაროს ენისმიერი ხატის ადეკვატურ მოდელირებას?“ - ერთეულმა უნდა აისახოს ხატთა სისტემა და ხატთა შორის არსებული კავშირი, კერძოდ: წარმოდგენა სამყაროსა და ადამიანზე, მათ შორის არსებულ კავშირზე (ადამიანის კავშირი ბუნებასთან, საზოგადოებასთან და ადამიანებთან) და ადამიანის კავშირი საკუთარ თავთან.
2. ერთეულში უნდა გამოვლინდეს მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის სპეციფიკა;

3. ერთეულში უნდა ფიქსირდებოდეს ლინგვისტურისა და ექსტრალინგვისტურის სინთეზი; სწორედ აღნიშნული სინთეზი წარმოადგენს ენის ჭეშმარიტი კვლევის საფუძველს;
4. ერთეული უნდა წარმოადგენდეს სოციუმის შემეცნებითი და ტექსტობრივი მოღვაწეობის საფუძველზე ფორმირებულ კონსტრუქტს, რომელშიც კოდირებულია სამყაროს „სახის“ მრავალრიცხოვანი დესკრიფცია;
5. ერთეული უნდა შედგებოდეს ისეთი კომპონენტებისაგან, როგორცაა: ენობრივი ცოდნა; ექსტრალინგვისტური ცოდნა (ცოდნა სიტუაციის კონტექსტისა და ადრესატის შესახებ); ზოგადი ფონური ცოდნა; ცოდნის აღნიშნულ სახეობათა ერთიანობა, ადამიანის ცნობიერების ყველა ასპექტის ინტეგრირება ჯამში ქმნის ერთეულს, რომელიც ერთდროულად პიროვნულ-ინდივიდუალურიცაა და საზოგადოებრივ-სოციალურიც;
6. ენაში ინახება სამყაროს შესახებ კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ცოდნისა და წარმოდგენების მთელი კომპლექსი. ამგვარი უნივერსალური, გლობალური ცოდნა, როგორც კოლექტიური ცნობიერების ფუნქციონირების შედეგი, უპირველეს ყოვლისა, ფიქსირდება ენის ლექსიკურ ფონდში. მაგრამ არსებობს ადამიანის ცნობიერების სხვადასხვა სახეობა: ცალკეული ინდივიდის ცნობიერება, ერის კოლექტიური ცნობიერება და მეცნიერული ცნობიერება. სამყაროს გააზრების შედეგი შემეცნების ყველა სახეობის შემთხვევაში ფიქსირდება ენის მატრიცებში, რომელიც ემსახურება ცნობიერების მოცემულ სახეობას;
7. სიტყვა წარმოადგენს არა უბრალოდ საგნისა თუ მოვლენის დასახელებას, სამყაროს „ნაწილს“. სინამდვილის აღნიშნულმა „ნაწილმა“ გაიარა ადამიანის ცნობიერება და სამყაროს ასახვის პროცესში შეიძინა განსაკუთრებული თვისებები. ეს თვისებები რელევანტურია კონკრეტული ეროვნული ცნობიერებისათვის;
8. ფრეიმში ლინგვისტურისა და ექსტრალინგვისტურის სინთეზი გულისხმობს ერთეულში შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულთა ისეთი ტიპების ინტეგრაციას, როგორცაა: სინონიმური რიგები, ანტონომური წყვილები, ლექსიკურ-სემანტიკური ველები;

რას უნდა ასახავდეს სამყაროს ენობრივი ხატი? - ხატის კონფიგურაციაში უნდა აღიბეჭდოს ადამიანთა პოზიციები, იდეალები, აღქმის პრინციპები, საქმიანობა, ღირებულებითი ორიენტაციები და სულიერი ორიენტირების თავისებურებები. ხატი,

როგორც რთული, სტრუქტურირებული მთლიანობა, უნდა მოიცავდეს სამ ძირითად კომპონენტს: მსოფლმხედველობას, მსოფლადქმასა და მსოფლგანცდას.

თითოეული ენა ქმნის სამყაროს საკუთარ ხატს, რომლის შესაბამისადაც ახდენს ენის მატარებელი გამონათქვამის შინაარსის ორგანიზებას. ენა წარმოადგენს სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ფორმირებისა და არსებობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ასახავს რა რეალობას, ადამიანი სწორედ სიტყვაში აფიქსირებს შემეცნების შედეგებს. ენობრივი ფორმით დაფიქსირებული ცოდნის ჯამი წარმოადგენს იმ ფენომენს, რასაც ვუწოდებთ „სამყაროს ენობრივ რეპრეზენტაციას“ – „სამყაროს ენობრივ ხატს“.

3.3. მიმართებათა ტიპები

ენათმეცნიერებაში პირველად, 1924 წელს ტერიმინი „მნიშვნელობის ველი“ გამოიყენა ჰ. იპსენმა. „ველის თეორიის“ შემქმნელების -ჯ. ტერიის, ლ. ვაისგერბერისა და ვ. პორციგის -ძირითადი ამოსავალი მოსაზრება ეყრდნობა იმას, რომ ენობრივ შინაარსთა სფერო არის არა მექანიკური აგლომერაცია, არამედ შინაგანად ორგანიზებული, სისტემური ბუნების მქონე, რომ რეალობის ნებისმიერი სეგმენტაცია ხდება მრავალგანზომილებაში, რომელთაგან თითოეული ცალკეულ სტრუქტურას- ველს-ქმნის. (Trier/ტერიი, 1973).

თუკი ტრადიციულ სემანტიკასა და ლექსიკოლოგიაში საკვლევ ობიექტად იზოლირებული სიტყვა იყო მიჩნეული, ველის თეორიაში სიტყვა განიხილება, როგორც გარკვეული მიკრო სისტემის ნაწილი, მისი მნიშვნელოვნება შეისწავლება დანაწევრებული მთლიანობიდან ამოსვლით, ველის სხვა წევრებთან ურთიერთობის გათვალისწინებით.

ენობრივი ველის მოძღვრების თეორიული საფუძველი ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომ ენის ლექსიკა წარმოადგენს არა სიტყვათა უბრალო გროვას, არამედ სიტყვათა ურთიერთმართობების ბადეს. ველი წარმოადგენს შინაარსის შემანარჩუნებელ ყველა ძალთა შეთანხმებული მოქმედების თანამონაწილეს.

საგულისხმოა ენობრივ მნიშვნელობათა მთლიანობრივი პრინციპი და მისგან გამომდინარე შინაარსობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის თვალსაზრისი. ეს პრინციპები იძლევა ენობრივ მნიშვნელობათა სწორედ შინაარსეულად კვლევის საშუალებას, მითუმეტეს, რომ ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს თავად ენიდან,

რომლის შინაარსეული სფეროც „ველის კანონით“ მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული. (ტრირი, (1931).

ამით ისიცაა ნათქვამი, რომ ეს სფერო შედგება არა იზოლირებულ სიტყვათა უბრალო ჯამისაგან, არამედ დანაწევრებული ურთიერთდამოკიდებულებებისაგან. ამაზევე მიუთითებს ადამიანის ენობრივი ალლო, რომელიც ახდენს ენობრივ ფორმათა სწორ არჩევანს მიზეზის გაუცნობიერებლად. ენობრივი ალლოს მეშვეობით სიტყვათა სწორი შერჩევა, შეფარდება გულისხმობს მათ შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებსა თუ სიახლოვეს. ის, რაც გაუცნობიერებლად ვლინდება ენობრივ ალლოში, ახსნას პოულობს ველის ცნებაში, რომელსაც ვაისგერბერი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ენობრივი ველი“ არის (...) ენობრივი შუაფენის მონაკვეთი, რომელიც აგებულია როგორც ორგანულ დანაწევრებაში მყოფი ერთად მოქმედი ენობრივი ნიშნების მთლიანობა. (Weisgerber/ვაისგერბერი, 1929).

ენობრივ ველებს არსებობის საკუთარი კანონი აქვთ- მთელისაგან ორგანული გამოყოფადობის კანონი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ერთმანეთს ორგანული მთელის წევრები თავიანთი ადგილის გათვალისწინებით ველში. ენობრივი ველის სტრუქტურაზე მსჯელობისას სწორედ ორგანული გამოყოფადობის ცნებაა ფუძემდებლური.

ვაისგერბერისა და ტრირის შემდგომ ლინგვისტურ ლიტერატურაში ენობრივი ველის შესახებ გაჩნდა საკმაოდ მრავალი მოსაზრება, რომელთაგან ზოგი ემთხვევა ერთმანეთს, ზოგი კი ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ წინააღმდეგობები ცალკეულ დეტალებს ეხება. მთლიანობაში კი ეს შეხედულებები ერთი კონცეფციის ფარგლებში თავსდება, რომელიც ი. ტრირისა და ლ. ვაისგერბერის ენობრივი ველის თეორიიდანაა აღმოცენებული.

გამოყოფთ ველის იმ მახასიათებლებს, რომელთაც ყველა მკვლევარი აღიარებს: ველის მახასიათებელი ამის ელემენტთა შორის კავშირის არსებობა; ამ კავშირის თაობაზე სხვადასხვა აზრია. კერძოდ, თვლიან, რომ:

1. იგი განპირობებულია მნიშვნელობათა სემანტიკური მსგავსებით, ან სიახლოვით.
2. იგი მყარდება სხვადასხვა სახის სემანტიკური კორელაციების ხარჯზე.
3. ამ კავშირის საფუძველს ველში შემავალი ყველა ელემენტის სემანტიკურ სტრუქტურაში მნიშვნელობის საერთო კომპონენტის არსებობა წარმოადგენს.

ი. ტრირთან და ლ. ვაისგერბერთან სამივე ნახსენები მომენტია ნაგულისხმევი მათი დიფერენციაციის გარეშე და ეს ბუნებრივიცაა.

ჩვენი ფიქრით, ეს სამივე მომენტი, ფაქტიურად, ერთსადაიმავე მოვლენას გულისხმობს, მხოლოდ სხვადასხვა წახნაგიდან დანახულს: სემანტიკური მსგავსება არ არსებობს სემანტიკური კორელაციის გარეშე და ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში მნიშვნელობის საერთო კომპონენტის არსებობა კი სწორედ კორელაციის გამოვლინებაა. ამდენად, აღნიშნულ შეხედულებათა სხვაობა, ჩვენი ფიქრით, არსებითად არ არსებულა და აქედან გამომდინარე, დავა, რომელიც ამ შეხედულებათა დამცველ ავტორებს შორის არსებობს, უსაგნოა.

ველის მეორე ნიშნად აღიარებულია ველის სტრუქტურული თავისებურება- არაერთგვაროვნება.

ველში გამოყოფენ: ა) ცენტრს, გარდამავალ სფეროსა და პერიფერიას ან ბ) ბირთვის, ცენტრსა და პერიფერიას.

მკვლევარები გამოყოფენ ნიშნებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ელემენტის ადგილის განსაზღვრა ველის სტრუქტურაში.

ველის ბირთვულ ელემენტთა თავისებურებანი დეტალურადაა განხილული კ. ფილიფსის ნაშრომში. (Phillips/ფილიფსი, 1996).

მისი თვალსაზრისით, ველის ბირთვულ ელემენტთა თავისებურებებია:

1. ელემენტის მნიშვნელობის ზოგადი ხასიათი;
2. უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა;
3. მარტივი მორფოლოგიური შემადგენლობა;
4. გამოყენების სიხშირის უმაღლესი ხარისხი;
5. ნულოვანი სტილისტური ნიშნადობა.

აღნიშნული თავისებურებანი, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ველის სტრუქტურაში ელემენტთა განაწილება, წარმოადგენს ველის ელემენტებსა და ველის სიტყვა-იდენტიფიკატორს შორის არსებული კავშირის სიმძლავრის ფორმას. სიტყვა-იდენტიფიკატორს უწოდებენ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს ელემენტთა მნიშვნელობებს შორის არსებული კავშირის საფუძველს მაქსიმალურად განზოგადებული ფორმით.

ველის ერთ-ერთ ნიშნადაა აგრეთვე მიჩნეული მის ელემენტთა

ურთიერთგანმსაზღვრელობა.

აღნიშნული ნიშნები უზრუნველყოფს ველის მთლიანობასა და გამოყოფადობას. მთელი შედგება არა ცალკეული, დამოუკიდებელი ნაწილებისაგან, არამედ პირიქით, მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულობა ცალკეული სიტყვისა გამომდინარეობს მთელის აგებულების კანონზომიერებიდან.

ველში სიტყვები გაერთიანებულია არა ქაოტურად, არამედ ჰიპონიმის პრინციპის-კლასიფიკაციური კავშირების ერთ-ერთი სახეობის -მიხედვით. ჰიპონიმია წარმოადგენს გვარობით-სახეობით კავშირს, რომლის დროსაც ორი მნიშვნელობიდან ერთ-ერთი ჩართულია მეორეში და ჰიპერსემას წარმოადგენს. (ფილიფსი, 2001).

უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვა ყოველთვის ჩართულია უფრო ზოგადი სიტყვის მნიშვნელობაში – ესა თუ ის წევრი გაერთიანებულია რაღაც კლასში. რაც უფრო ნაკლებია სიტყვის ექსტენსიონალი, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ასეთი სიტყვა ყოველთვის ჩართული აღმოჩნდება გარკვეულ ზოგად კლასებში. ამიტომ სიტყვის ჰიპონიმია სიტყვის ექსტენსიონალზეა დამოკიდებული: უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ყოველთვის იქვემდებარებს უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვას.

ჰიპონიმის შემთხვევაში ცალმხრივ იმპლიკაციასთან გვაქვს საქმე: წევრი გულსხმობს იმ მნიშვნელობას, რომელიც კლასისთვის არის დამახასიათებელი და სწორედ ამიტომ არის იგი (წევრი) გაერთიანებული მოცემულ კლასში, მაგრამ კლასი არ გულისხმობს თავისი წევრის მნიშვნელობას. ერთი სიტყვით, სემანტიკურ ველში წევრებიდან კლასზე გადასვლა ხდება ჰიპონიმის პრინციპის დაცვით, რის შედეგადაც ვლელობით გარკვეულ იერარქიულ სისტემებს, რომლებშიც უფრო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა იქვემდებარებს კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვას და ამ გზით წარმოიქმნება სუბორდინაციული მიმართება კლასსა და მის წევრს შორის. ასეთი სუბორდინაციული მიმართება შეიძლება გვეჩვენოს კლასების დონეზეც. მაგალითად, ფერების აღმნიშვნელი ზედსართავების სემანტიკური ველი ერთიანდება ზედსართავების უფროზოგად კლასში – ფიზიკური თვისების კლასში.

თუ ენის ლექსიკა მოწესრიგებული სიმრავლის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სემანტიკურ ველებსა და მის წევრებს შორის ან თვითონ სემანტიკურ ველებს შორის სუბორდინაციის მიმართება გვაქვს. (ბარსალოუ, 1992).

სემანტიკური ველების საკითხთან მჭიდრო კავშირშია ექსტენსიონალისა და ინტენსიონალის ცნებები. სიტყვის ექსტენსიონალი ეწოდება საგანთა იმ კლასს, რომლებთანაც მოცემული სიტყვა მიმართებას ამყარებს, ხოლო სიტყვის ინტენსიონალია იმ თვისებების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მოცემულ სიტყვასთან მიმართებაში მყოფ საგანს. ექსტენსიონალი და ინტენსიონალი ერთმანეთთან უკუპროპორციულ მიმართებაშია: რაც უფრო მეტია სიტყვის ექსტენსიონალი, მით უფრო ნაკლებია მისი ინტენსიონალი და პირიქით. ამიტომ რაც უფრო აბსტრაქტულ სემანტიკურ ველში

ერთიანდება ესა თუ ის სიტყვა, მით უფრო იზრდება მისი ექსტენსიონალი, მაგრამ მცირდება ინტენსიონალი. პირიქით, სემანტიკური ველიდან კონკრეტულ სიტყვებზე თანდათანობით გადასვლა ამცირებს სიტყვათა ექსტენსიონალს, მაგრამ ზრდის მათ ინტენსიონალს. ერთი სიტყვით, სემანტიკური ველის ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე ამ ველში შემავალი სიტყვებისა, მაგრამ ერთ სემანტიკურ ველში გაერთიანებული სიტყვების ინტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე თვითონ სემანტიკური ველისა.

(Brinton/ბრინტონი, 2000).

ენის ლექსიკური ფონდი – არ არის მოუწერსიგებელი სიმრავლე, ლექსემების უბრალო გაერთიანება. ნებისმიერი ენის ლექსიკა სისტემაა, მის ელემენტებს შორის კანონზომიერი მიმართებები არსებობს.

ლექსიკა უფრო ცვალებადია, ვიდრე ენის მკაცრად ორგანიზებული ქვესისტემები.

ლექსიკურ ერთეულთა ინვენტარის სწრაფი ცვალებადობა აიხსნება მათი მნიშვნელობების უშუალო კავშირით გარე ენობრივ სინამდვილესთან; ლექსემათა სიმრავლეში თვალსაჩინოდ აისახება ის გარდაქმნები, რომელიც სამყაროში ხდება.

ლექსიკური სისტემა ღიაა, შეღწევადია, შეიცავს განუსაზღვრელი რაოდენობის ელემენტებს. ახალი რეალიების გაჩენასთან ერთად ლექსიკურ ერთეულთა ინვენტარი ივსება, ამავე დროს ზოგიერთი ლექსემა გამოდის საყოველთაო ხმარებიდან. ლექსიკა იმყოფება თანდათანობით დარღვევად და აღდგენადი წონასწორობის მდგომარეობაში. აქ საქმე გვაქვს წონასწორობის იმ მოდელთან, რომლის ყველა ელემენტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ზემოქმედებენ ერთმანეთზე. ცვლილებას მოძრაობაში მოჰყავს მთელი სისტემა. სისტემა მუდმივ მოძრაობაშია და ეს მოძრაობა “დინამიკურ წონასწორობას” უზრუნველყოფს. (Jackson/ჯექსონი, 2000).

აღსანიშნი ფაქტების ცნებითი, საგნობრივი და ფუნქციური მსგავსება აისახება ლექსიკურ ერთეულთა ვრცელ გაერთიანებებში –ველებში. სწორედ ველის ცნებას უკავშირდება ლექსემათა სემანტიკური ნათესაობის ცნება. გარე ენობრივი სამყაროს მსგავსად, ენის “სემანტიკური სივრცე” უწყვეტია. ველები არ არის ჩაკეტილი, მათი საზღვრები არა მკაფიოა. ნებისმიერი ორი ველი დაკავშირებულია ერთმანეთთან. ველებს შორის ფიქსირდება.

ველების შემადგენლობაში გამოიყოფა ბირთვული (ცენტრალური), გარდამავალი და პერიფერიული სფეროები. ბირთვულ, გარდამავალ და პერიფერიულ სფეროთა განსხვავება ენის უნივერსალური თვისებაა, რომელიც სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. ბირთვისათვის დამახასიათებელია ტიპობრივი მოდელები, ფორმები და მნიშვნელობები,

გარდამავალი სფეროსათვის - შუალედური ფორმები და მნიშვნელობები, პერიფერიისათვის – ტიპობრივი მოდელისაგან მნიშვნელოვანად განსხვავებული, სხვა დაჯგუფებებისა თუ კატეგორიის მომიჯნავე ფორმები და მნიშვნელობები.

(Fillmore/ფილმორი, 1982).

სემანტიკურ ველებად დაყოფა ლექსიკონის სტრუქტურის უნივერსალური თვისებაა.

ლექსიკა ცვალებადია ველის ფარგლებში, მაგრამ ეს ცვლილებები თვით ველს არ აუქმებენ, მხოლოდ ცვლიან მათ შედგენილობას. (გერერცი, 1997).

3.4. „დროის“ კონცეპტუალური სივრცე თანამედროვე ინგლისურ ენაში

„დროის შეფასების“ ფრეიმი

„დროის შეფასების“ ფრეიმის ლექსიკალიზაცია ხდება იმ ფრაზეოლოგიური ველის მეშვეობით, რომლის ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში წამოდგენილია „დროის მნიშვნელოვნების“, „წარმავლობისა“ და „ცვალებადობის“ მარკერები.

Only time will tell; Time is a great healer; Time works wonders; Time is money; Time is of the essence; Every minute counts; Times change and we with time; Life is short and time is swift; Time flies; Time does sail; Time is ticking away; Tooth of the time.

Time is a great healer (დრო შესანიშნავი მკურნალია)

“She remembered him smiling, and realized that time, that great old healer, had finally accomplished its work, and now, across the years, the face of love no longer stirred up agonies of grief and bitterness. Rather, one was left feeling simply grateful. For how unimaginably empty the past would be without him to remember.” --- Rosamunde Pilcher, *The Shell Seekers*

“People say that time is a great healer. Which people? What are they talking about? I think some feelings you experience in your life are written in indelible ink and the best you can hope for is that they fade a little over the years.” --- Allison Pearson, *I Don't Know How She Does It: The Life of Kate Reddy, Working Mother*

“Whatever you believe, and however, each of us deals with these events in our lives, one thing is for certain the truism, time is a great healer, is of no consolation at that moment of intense, all-consuming grief. From *GLASS HALF FULL*” --- Sarah Jane Butfield

Times change and we with time (დრო იცვლება და ჩვენც მასთან ერთად)

“When we least expect it, life sets us a challenge to test our courage and willingness to change; at such a moment, there is no point in pretending that nothing has happened or in saying that we are not yet ready. The challenge will not wait. Life does not look back. A week is more than enough time for us to decide whether or not to accept our destiny.” --- Paulo Coelho, *The Devil and Miss Prym*

